.ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის

სასწავლო უნივერსიტეტი

სამართალმცოდნეობის და საჯარო მმართველობის ფაკულტეტი

ქოქოლაძე თამთა

ქართული თანამედროვე დიპლომატია

საჯარო მმართველობა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ბესიკ ბერიძე

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი

ხიჭაური

2019

სარჩევი

შესავლი.....5

თავი I. ქართული დიპლომატიის ისტორია და პირველი ქართველი ელჩები

§1. ქართული დიპლომატიის ისტორია.....?

§2. პირველი ქართველი ელჩები.....?

თავი II. საქართველოს დიპლომატიური სამსახურის სისტემა

§1. საქართველოს დიპლომატიური სამსახურის სტრუქტურა და ამოცანები……..?

§2. საქართველოს საგარეო ურთიერთობათა ორგანოები და მათი სისტემა……....?

§3. საქართველოს დიპლომატიური სამსახურის მისია.....?

§4. საგარეო პოლიტიკის სტრატეგიული მიზნები და ამოცანები.....?

§5. საკონსულოები.....?

§6. საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები.....?

§7. დიპლომატიური პროტოკოლის დეპარტამენტი.....?

თავი III საქართველო საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში და საგარეო პოლიტიკის სტრატეგია

§1. საქართველო საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში.....?

§2. საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია.....?

§3. ქართული დიპლომატიის მომავალი.....?

დასკვნა.....?

გამოყენებული

ლიტერატურა.....?

ანოტაცია

ქართულმა დიპლომატიამ რთული გზა გაიარა ვიდრე აქამდე მოვიდოდა, არც სულხან-საბა ორბელიანისათვის ყოფილა მარტივი საფრანგეთის მეფის კარის შეღება, მაგრამ მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა და ქართულ დიპლომატიაში ბევრი რაიმე შეიცვალა, მაგრამ სამწუხარო რეალობაა ის რომ საქართველო კვლავაც დგას სერიოზულიგამოწვწვების წინაშე და ამდენი ხნის შემდეგაც ისევ უხდება თავის დამკვიდრებისთვის ბრძოლაც და ამ პოზიციის შენარჩუნებაც.

სწორედ აქედან გამომდინარე ნაშრომში თავმოყრილი და გაანალიზებულია ის საგარეო პოლიტიკური კურსის ანალიზი რაც საქართველოს აქვს ამ ეტაპისათვის და და ის პრობლემებიც რაც გააჩნია - აქ იგულისხმება, საქარველოს ოკუპირებული ტერიტორიები და რუსეთის მხრიდან მუდმივად მოსალოდნელი საფრთხეები რაც ისევ და ისევ ქართული დიპლპმატიის გადასაჭრელია.

georgian diplomacy

Georgian diplomacy passed a difficult way until it comes now. It was not simple when Sulkhan Saba- Orbeliani open The French King's door, but after that a long time has gone and In Georgian diplomacy many things have changed, however it is sad that Georgia is still faced with serious challenges and continues to establish its own position. That's why the work is collected and analyzed by the foreign policy course analysis, and that are problems with Georgia has now. It means the occupied territories of Georgia and treats expected from Russia, so these problems will be solved by Georgian's diplomacy.

tamta kokoladze

შესავალი

მაღალ დონეზე განვითარებული და კარგად ორგანიზებული დიპლომატიური სამსახური, როგორც სახელმწიფოს საჯარო სამსახურის განუყოფელი ნაწილი უმნიშვნელოვანესი პირობაა სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო ასპარეზზე თავისი ფუნქციების, საგარეო პოლიტიკის სტრატეგიული და ტაქტიკური ამოცანების განხორციელებისთვის

თანამედროვე დიპლომატიური სამსახურის სტრუქტურების მართვის, ორგანიზაციის ფორმები და მეთოდები მუდმივ ცვლილებასა და მოდიფიკაციას განიცდიან მსოფლიოში, საერთაშორისო ურთიერთობაში მიმდინარე გამოწვევების კვალობაზე. დიპლომატიურ პროცესებზე დიდ გავლენას ახდენს ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიები.ამ ფაქტორების ზრდის ტენდენცია პერმანენტულად გაგრძელდება მთელი 21-ე საუკუნისა თუ მომდევნო პერიოდებშიც. რაც დღის წესრიგში, კანონიერად, სვამს დიპლომატიისა და დიპლომატიური სამსახურის მეცნიერული საფუძვლების განმტკიცების ამოცანას, ამ პრობლემატიკის გამოყოფას განსაკუთრებულ სამეცნიერო მიმართულებად. მით უფრო რომ ამ მხრივ ცოტა რამ თუ არის გაკეთებული და კეთდება საქართველოში და არა მარტო საქართველოში.

საქართველოს კანონმდებლობით დიპლომატიური სამსახური რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციით, შესაბამისი საერთაშორისო ნორმატიული აქტებით, 6 საქართველოს კანონით „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“, საქართველოს სხვა კანონებითა და ნორმატიული აქტებით, რომელიც გამოიცემა პრეზიდენტისა და მთავრობის მიერ.

იმ ოფიციალურ საკანონმდებლო ნორმატიულ დოკუმენტთა შორის, რომელიც დიპლომატიურ სამსახურს მოქმედების სტრატეგიას უსაზღვრავს, გამორჩეულია ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. ამ დოკუმენტში განსაკუთრებით ხაზგასმულია სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ატრიბუტის, დიპლომატიური სამსახურის პირველხარისხოვანი ამოცანები ქვეყნის უსაფრთხოებისა და საერთაშორისო მშვიდობის განმტკიცების თვალსაზრისით.

თანამედროვე გაგებით დიპლომატია ეს არის საჯარო მოხელეთა პროფესიული საქმიანობა, რომლებიც მუშაობენ საგარეო პოლიტიკურ უწყებაში და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებსა თუ ორგანოებში. ეს საქმიანობა ხორციელდება მოსამსახურეთა მიერ, რომლებსაც სახელმწიფო თანამდებობები უკავიათ საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში, უცხოეთში და საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში, საკონსულო დაწესებულებებში. მათი საქმიანობა უზრუნველყოფს საგარეო საქმეთა სამინისტროს, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციების შესრულებას, რომელიც სახელმწიფო პოლიტიკას ატარებს საგარეო პოლიტიკის მიმართულებით და ახორციელებს ქვეყნის საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფოებრივ მართვასა და კოორდინაციას.

ნაშრომის მიზანი - ნაშრრომის მიზანს წარმოადგენს საქართველოს დიპლომატია მთლიანად და საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში მონაწილე სახელმწიფო დაწესებულებების ერთად თავმოყრა და წარმოჩენა.

ნაშრომის აქტუალობა - ნაშრომში ვრცლად არის განხილული ყველა ის უწყება, რომელიც საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში ახორციელებენ დიპლომატიურ ურთიერთობებს სხვა ქვეყნებთან, ატარებენ საგარეო პოლიტიკურ კურსს და ასევე საქართველოს წარმოაჩენენ საგარეო ორბიტაზე.

ნაშრომის სიახლე - ნაშრომის სიახლეს წარმოადგენს ის, რომ, ნაშრომში სრულად არის ჩამოყალიბებული საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი, მისი ინტეგრაციის მთავარი მიმართულებები და ასევე ის პრობლემები რაც დამახასიათებელია ქართული დიპლომატიისათვის თანამედროვე ეტაპზე.

თავი I. ქართული დიპლომატიის ისტორია და პირველი ქართველი ელჩები

§1. ქართული დიპლომატიის ისტორია

დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს რომ, საქართველოს, როგორც ახალი სახელმწიფოს ჩამოყალიბება ურთულეს პოლიტიკურ ვითარებაში მიმდინარეობდა. მიუხედავად ამისა, საქართველო აქტიურობას იჩენდა საერთაშორისო ასპარეზზე. სახელმწიფო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა საგარეო პოლიტიკის წარმოების საკითხებს. 1919-1920 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში არაერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. 1918 წელთან შედარებით გააქტიურდა ქართული დიპლომატია, რაც პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ შეცვლილმა საერთაშორისო ვითარებამაც განაპირობა.

ჩვენს სახელმწიფოს ყველა პირობა ჰქონდა, განვითარებულიყო, როგორც დემოკრატიული ქვეყანა. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის მოქმედებდა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება, რომლითაც რუსეთმა აღიარა საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობა. საქართველო 1921 წლის 25 თებერვალს, რუსეთის მხრიდან ანექსიისა და ოკუპაციის მსხვერპლი გახდა.

ხოლო რაც შეეხება საელჩოებს: 1921 წლისათვის საქართველოს რამდენიმე სახელმწიფოში ჰქონდა გახსნილი სრულუფლებიანი დიპლომატიური წარმომადგენლობა (საელჩო და მისია): საფრანგეთში (პარიზი), გერმანიაში (ბერლინი), რუსეთში (მოსკოვი), თურქეთში (ანგორა), პოლონეთში (ვარშავა). მათ შეიძლება დაემატოს საელჩოები უკვე გასაბჭოებულ სომხეთში და აზერბაიჯანში, სადაც საქართველო, პოლიტიკური მიზეზების გამო, იძულებული იყო შეენარჩუნებინა 1918 წლიდან მოქმედი წარმომადგენლობები. აი, როგორი პერსონალი მუშაობდა აზერბაიჯანში არსებულ საქართველოს საელჩოში 1920 წელს: წარმომადგენელი(ელჩი), მისიის საქმეთა მმართველი, ობერ-ოფიცერი (განსაკუთრებული საქმეებისათვის), მისიის მდივანი, საინფორმაციო განყოფილების გამგე, საქმისმწარმოებელი, რეგისტრატორი, მემანქანე, შოფერი, შოფრის თანაშემწე, შიკრიკი, მსახური. საელჩოს ხარჯებში შედიოდა: საწარმომადგენლო ხარჯი, შენობის ქირა, ელჩის საცხოვრებელი ბინის ქირა,საკანცელარიო ხარჯი, ფოსტა-ტელეგრაფის ხარჯი, მოულოდნელი ხარჯი. რასაკვირველია, შედარებით ნაკლები რაოდენობის პერსონალი იყო ევროპულ სახელმწიფოებში, რადგან იქ ხარჯებისათვის უცხოური ვალუტა იყო საჭირო, საქართველო კი ვალუტის დეფიციტს განიცდიდა. მაგალითად, წარმომადგენლობა საფრანგეთში (პარიზი): სრულუფლებიანი წარმომადგენელი, პირველი მდივანი, მეორე მდივანი, საინფორმაციო ბიუროს გამგე და მისი თანაშემწე (იგივე მთარგმნელი), საქმისმწარმოებელი, მანქანით გადამწერი, მსახური.

ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ საკონსულოებთან დაკავშირებითაც.ეს დაწესებულებები, რომლებთაც მოქალაქეთა იურიდიული სტატუსისა და ქონებრივი მდგომარეობის რეგისტრირების ფუნქციები გააჩნდათ, ან უშუალოდ შედიოდა საელჩოს სტრუქტურაში საკონსულო განყოფილების სახით, ან ცალკე ფუნქციონირებდნენ კონკრეტულ გეოგრაფიულ პუნქტებში,თუმცა,ყველა შემთხვევაში საელჩოს ექვემდებარებოდნენ. ზემოთ უკვე ვთქვით, რომ საქართველოს გააჩნდა

თავისი საკონსულო წესდება, რომელიც იმდროინდელი საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმების შესაბამისად იყო შემუშავებული. წესდების თანახმად, საქართველოს საკონსულოები და კონსულები რამდენიმე კატეგორიად იყოფოდნენ: გენერალურ საკონსულო (გენკონსული), საკონსულო (კონსული), ვიცე-საკონსულო

(ვიცე-კონსული). აი, საკონსულოს ტიპიური შტატები (აზერბაიჯანში): კონსული, საკონსულოს აგენტი, საკონსულოს მდივანი, საკონსულოს აგენტი ქალაქ აღსტაფა-სალოღლში. 1921 წლისათვის საქართველოს გენერალური საკონსულოები მოქმედებდნენ ეკატერინოდარში (ამჟამინდელ კრასნოდარში), პეტროგრადში, ვლადიკავკაზში, ოდესაში, საკონსულოები - სოჭში, სტავროპოლში... ზოგჯერ საკონსულოები პოლიტიკურ ფუნქციებსაც ასრულებდნენ, მაგალითად, საქართველოს საკონსულო რომში (იტალია).

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია რომ 1921 წლის 25 თებერვლიდან დაიწყო საქართველოსთვის უმძიმესი საბჭოთა ოკუპაციის წლები. გაუქმებულად გამოცხადდა დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები, სახელმწიფო და არჩევითი ორგანოები, არაპროლეტარული პარტიები. მოისპო მიწაზე კერძო საკუთრება.

მნიშვნელოვანი იყო ის საკითხიც, რომ საქართველოს დიპლომატიურ სამსახურს საბჭოთა ოკუპაციის პირობებში, როდესაც ფორმალურად არსებობდა შესაბამისი სტრუქტურა, მაგრამ ის დამოუკიდებელი საქმიანობის საშუალებას იყო მოკლებული, მიუხედავად ამისა, 1990 წლის 11 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება "საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს რეორგანიზაციისა და სრულყოფის შესახებ". რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელობა, ვარაუდობდა, რომ შორს არ იყო საქართველოს დამოუკიდებლობა.

თანამედროვე დიპლომატიის, რორგორც საქართველოს დიპლომატიური სამსახურის, ფორმირება 1991 წლის დამოუკიდებლობის აქტის შემდგომ დაიწყო და სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა. აქტიურად მიმდინარეობდა საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღიარების პროცესი. დაიხვეწა და მოწესრიგდა დიპლომატიური სამსახურის სტრუქტურა, თუმცა საგარეო საქმეთა სამინისტროს სერიოზული სტრუქტურული ცვლილებები დაკავშირებულია 1997 წელთან, როდესაც პირველად საქართველოს ისტორიაში მიღებული იქნა კანონი „დიპლომატიური სამსახურის შესახებ".

ამ კონკრეტულ შემთხვევაში განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი დიპლომატიური სამსახურის, როგორც საჯარო სამსახურის სისტემის ორგანული

ნაწილის სპეციფიკისა და მის სახელმწიფო სამსახურისადმი მიმართების პრობლემატიკას. ხაზგასმულია ის გარემოება, რომ, დიპლომატიური სამსახური საჯარო სამსახურის გამორჩეული ნაწილია, რომლის სპეციფიკა განპირობებულია მართვის ობიექტით. მნიშვნელოვანი ინფორმაციაა წარმოდგენილი დიპლომატის როლისა და ადგილის შესახებ საჯარო სამსახურში, მისი სამართლებრივი მდგომარეობისა და პროფესიული ოსტატობის აუცილებლობის საკითხებს.

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოში და საქართველოშიც დიპლომატია სახელმწიფოს განვითარების კვალობაზე ვითარდება და იხვეწება იმ ისტორიულ-კულტურულ სივრცეში, რომელიც დამახასიათებელია მოცემული ქვეყნისთვის. იმ პროცესების ზეგავლენით, რომელიც მიმდინარეობს სახელმწიფოს ეკონომიკაში, სოციალურ თუ სულიერ-ზნეობრივ სფეროში, რაც სახელმწიფო მართვის სისტემის უმნიშვნელოვანესი განმსაზღვრელი პირობაა. სახელმწიფო მართვის, როგორც ჩვენში მიღებულია, საჯარო მმართველობის ამოცანებია: მოქმედი კანონმდებლობის განხორციელება, ეროვნული უსაფრთხოების, სახელმწიფო სუვერენიტეტის, ეკონომიკური თვითმყოფადობის, ხალხის სულიერ-მორალური და დამოუკიდებლობის, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების განუხრელად დაცვის პროფესიულ დონეზე უზრუნველყოფა. ასეთ გამოწვევებთან განმკლავება შეუძლია მხოლოდ მაღალპროფესიონალურ და სტაბილურ აპარატს, მაღალეფექტიან და ავტორიტეტულ სახელმწიფო სამსახურს, რომლის განსაკუთრებული შემადგენელი ნაწილია დიპლომატიური სამსახური. სწორედ ამ გამოწვევებზეა გაკეთებული აქცენტი ნაშრომში. აქ უმთავრესია იმ პრინციპების გააზრება და რეალიზაცია, რომელსაც ემყარება საქართველოს დიპლომატიური სამსახური.

ა) საქართველოს ეროვნული ინტერესების თანმიმდევრულად განხორციელება; ბ) ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ქმედებებისა და ინიციატივების მდგრადობა და პროგნოზირებადობა; გ) ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემა; დ) საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ამ კანონისა და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნათა ზუსტი და თანმიმდევრული დაცვა. ე)

საქართველოს ყველა მოქალაქისათვის მათი უნარის, 15 კვალიფიკაციისა და პროფესიული მომზადების შესაბამისად დიპლომატიურ სამსახურში შესვლის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა; ვ) მოსამსახურეთა კადრების სტაბილურობა; ზ) დიპლომატიური სამსახურის ერთიანობა; თ) პოლიტიკური ნეიტრალიტეტი.

ზემოთ აღნიშნული პრინციპების განხორციელება სწორედ იმ ადამიანების უმთავრესი საქმეა, ვინ დასაქმებულია დიპლომატიურ სამსახურში, რამდენადაც დიპლომატიური სამსახური სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო მართვის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია. მისი დამახასიათებელი ნიშანია პროფესიონალიზმი. ამიტომაცაა, რომ დიპლომატიური სამსახურის მუშაკებს მუდამ გამოარჩევდა და დღესაც გამოარჩევს დიდი ერუდიცია, ორგანიზებულობა, ყოფითი კულტურა, თავისი ხალხის ისტორიული ბედის სიღრმისეული აღქმა, ასევე, თვისებები უნარიანად გამოიყენონ თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები.

უნდა აღინიშნოს, რომ დიპლომატიას თანამედროვე პერიოდში უმნიშვნელოვანესი თავისებურებები ახასიათებს, რადგანაც დიპლომატიის მიზანია გამოიყენონ მშვიდობიანი და მიზანშეწონილი მეთოდები სხვადასხვა ინტერესთა თანხვედრის უზრუნველსაყოფად, მთავრობათა და ხალხთა შორის მეგობრული კავშირების განსამტკიცებლად.

არ შეიძლება ხაზი არ გაესვას იმ საკითხსაც, რომ, საქართველოს საჯარო სამსახურის, მათ შორის დიპლომატიური სამსახურის სამართლებრივი ბაზა, მისი ნორმატიულ-სამართლებრივი რეგულირების მექანიზმები ჯერ კიდევ სრულყოფის პროცესშია. მათი ფორმირება ატარებს გარკვეულად რთულ და წინააღმდეგობრივ ხასიათს რაც დაკავშირებულია საერთაშორისო, საკონსტიტუციო, სამოქალაქო, ადმინისტრაციულ, შრომით, სისხლის სამართლებრივ და სამართლის სხვა დარგების არცთუ მარტივ ასპექტებთან, მათი დახვეწისა და სრულყოფის აუცილებლობასთან. არანაკლები სირთულეებია საკადრო შემადგენლობის ფორმირების საქმეში, ჯერ კიდევ არ შექმნილა სათანადო მომზადებისა და ზნეობრივი თვისებების მქონე კადრების მოზიდვის, შერჩევისა და განაწილების პრაქტიკა.

ჩვენთვის, ქართველებისათვის განსაკუთრებით საამაყოა, რომ ერთ-ერთი პირველი ქართველი დიპლომატიური წარმომადგენელი იყო გაბრიელ ხუნდაძე,

რომელიც ამ თანამდებობაზე 1918 წლის ივნისში დაინიშნა და მისიით რუსეთში გაიგზავნა. თავდაპირველად მან აქტიური დიპლომატიური და საორგანიზაციო მუშაობა გასწია, ჩამოაყალიბა საკონსულო პეტროგრადში (კონსული პეტრე ჩინიჯიშვილი). მაგრამ რადგანაც საბჭოთა რუსეთმა იურიდიულად არ აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა, ქვეყნების პოლიტიკური სისტემები კი ერთმანეთის მიმართ ანტაგონისტური იყო, საბჭოთა რუსეთის „ჩეკამ", საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევით, ექსტერიტორიულობის პრინციპის ხელყოფით, საქართველოს დიპლომატიური მისიის შემადგენლობა მთლიანად დააპატიმრა. რამდენიმეთვიანი პატიმრობის შემდეგ ქართველი დიპლომატები გაათავისუფლეს და ისინი საქართველოში დაბრუნდნენ. 1920 წლის 7 მაისის საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების თანახმად, ორივე მხარემ ერთმანეთის დამოუკიდებლობა აღიარა და დიპლომატიური წარმომადგენლობებიც გაიხსნა, ელჩად კი გერასიმე მახარაძე დაინიშნა. თვითონ გაბრიელ ხუნდაძემ კი დიპლომატიური მოღვაწეობა აზერბაიჯანში, ელჩის რანგში გააგრძელა 1920 წლის ივნისამდე. თანამედროვეები მას ახასიათებენ როგორც იშვიათ კეთილშობილ, უშიშარ ვაჟკაცად და შესანიშნავ ორატორად.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აკაკი ჩხენკელი, რომელიც 1921 წლის იანვარში, ევროპის სახელმწიფოების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის დე-იურედ ცნობის შემდეგ ელჩად დაინიშნა საფრანგეთში (ცენტრალურ დასავლეთევროპულ წარმომადგენლად). ვიქტორ თევზაძე (უკრაინაში 1918-19 წლებში), სიმონ მდივანი (ჯერ სომხეთში 1918-19 წ.წ., შემდეგ კი თურქეთში 1920-21 წ.წ.), გრიგოლ ალშიბაია (აზერბაიჯანში 1918-19 წლებში), მიხეილ წერეთელი (გერმანიაში 1918-19 წლებში) სხვათა შორის, გერმანიაში (ბერლინში) არსებულ საქართველოს საელჩოში 1918 წელს კულტურის ატაშედ მუშაობდა კონსტანტინე გამსახურდია, რომელიც მოგვიანებით ცნობილი მწერალი გახდა.

მნიშვნელოვანი ფაქტია ისიც, რომ, დაარსებისთანავე სამინისტრო აქტიურად ჩაერთო დიპლომატიურ საქმიანობაში - 28 მაისს და 9 ივნისს ხელი მოეწერა საქართველოს პირველ საერთაშორისო ხელშეკრულებებს გერმანიისა და ოსმალეთის იმპერიებთან. გარდა ამისა, შეირჩა უცხოეთის სახელმწიფოებში

გასაგზავნი პირველი დიპლომატიური მისიების (წარმომადგენლობების) და საკონსულოების კადრებიც.

ქართული დიპლომატიის საამაყოდ უნდა ითქვას ისიც, რომ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მეორე საგარეო საქმეთა მინისტრი იყო ევგენი გეგეჭკორი (1881-1954წ.წ.), რომელიც, ამ თანამდებობაზე 1918 წლის ნოემბერში დაინიშნა. აღსანიშნავია, რომ იგი მინისტრის საქმიანობას საქართველოს ემიგრაციულ მთავრობაშიც (1921 წლის 18 მარტიდან) აგრძელებდა რამდენიმე წლის განმავლობაში.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც რომ, ევგენი გეგეჭკორის აქტივშია სომხეთ-საქართველოს სამხედრო კონფლიქტის დიპლომატიური გზით მოგვარების მცდელობა, კონფლიქტის შედეგების ასახვა ორმხრივ საერთაშორის-სამართლებრივ დოკუმენტებში (შეთანხმებებში), სოჭის კონფლიქტის დიპლომატიური გზებით გადაწყვეტის მცდელობა (მონაწილეობა ეკატერინოდარის მოლაპარაკებაში სამხრეთ რუსეთის მთავრობასთან).მოლაპარაკებები სომხეთთან, აზერბაიჯანთან, რუსეთთან, თურქეთთან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევგენი გეგჭკორის მიერ შეტანილი წვლილი კავკასიის რეგიონის სახელმწიფოთა ურთიერთობის დარეგულირების საკითხში. მისი ინიციატივით თბილისში ჩატარდა საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და მთიელთა რესპუბლიკების სამი კონფერენცია საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე, რომელზეც შეიმუშავეს რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციის ამიერკავკასიის საბჭოს წესდება. კონფერენციებზე პერმანეტულად იხილებოდა აგრეთვე მშვიდობის განმტკიცებისა და კონფლიქტების (კერძოდ, მთიანი ყარაბაღში) მოგვარების გზები. ევგენი გეგეჭკორის მინისტრობის პერიოდში დაიხვეწა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი გახდა სამინისტროსა და დიპლომატიური წარმომადგენლობების (საკონსულოების) სტრუქტურები, შემუშავდა საკონსულო წესდება და სხვა.

თავი II. საქართველოს დიპლომატიური სამსახურის სისტემა

§1. საქართველოს დიპლომატიური სამსახურის სტრუქტურა და ამოცანები

მნიშვნელოვანია ჩამოვაყალიბოთ თუ რას წარმოადგენს საქართველოს დიპლომატიური სამსახური და რომელი უწყებები ექვემდებარება ამ სამსახურს.

საქართველოს დიპლომატიური სამსახური შედგება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და მისი ქვედანაყოფებისაგან ქვეყნის ტერიტორიაზე და საზღვარგარეთ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო არის სამთავრობო დაწესებულება ,

რომელიც,ახორციელებს სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ქვეყნის საერთაშორისო ურთიერთობის სახელმწიფოებრივ მართვას..დიპლომატიური წარმომადგენლობა ეს არის სამინისტროს ქვედანაყოფი საზღვარგარეთ, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ადგილსამყოფელ სახელმწიფოებთან დიპლომატიურ და საკონსულო ურთიერთობებისას წარმოადგენს

კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს. დიპლომატიური სამსახურის ძირითადი ამოცანები და ფუნქციებია

ა) დიპლომატიური საშუალებებით საქართველოს სუვერენიტეტის, ქვეყნის უსაფრთხოების, მისი ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ურღვევობის და სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვა,

ბ) საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის ძირითადი მიმართულებების შესახებ წინადადებების შემუშავება;

გ) საერთაშორისო ურთიერთობებში საქართველოს ინტერესების წარმოდგენა და დაცვა;

დ) საქართველოს უსაფრთხოებისა და საერთაშორისო სტატუსის განმტკიცება;

ე) საქართველოსა და სხვა სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური, სამეცნიერო და სხვა სახის კავშირების განმტკიცება;

როგორც ვხედავთ, დიპლომატიური სამსახური არის საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და მისი ქვედანაყოფები ქვეყნის ტერიტორიაზე და საზღვარგარეთ. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო) – სამთავრობო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ქვეყნის საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფოებრივ მართვას.

რაც შეეხება უცხოეთის ქვეყნებს - საზღვარგარეთ სამინისტროს დიპლომატიური წარმომადგენლობა არის საზღვარგარეთ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფი, რომელიც ადგილსამყოფელ სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობისას წარმოადგენს საქართველოს.

დიპლომატიური წარმომადგენლობები არიან: სხვა სახელმწიფოში განლაგებული საქართველოს საელჩო და ასევე საერთაშორისო ორგანიზაციასთან არსებული საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა და დიპლომატიური მისია.

§2. საქართველოს საგარეო ურთიერთობათა ორგანოები და მათი სისტემა

როგორც ვიცით, სახელმწიფოში თავისებური ადგილი უკავია საგარეო ურთიერთობათა ორგანოებს. მათი მოღვაწეობა ვრცელდება არა მარტო მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიაზე, არამედ მისფარგლებს გარეთაც. ყველა შემთხვევაში, ამ ორგანოების ადგილსამყოფელის მიუხედავად, მათი მოღვაწეობა მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფოებს ოფიციალური ურთიერთობების დამყარებაში ხელი შეუწყონ,

დიპლომატიური ხერხებით განახორციელონ ქვეყნის საგარეოპო ლიტიკური კურსი. სწორედ აქედან გამომდინარეობს ამ ორგანოების სამართლებრივი ორგანიზაციის განსაკუთრებული ხასიათი და მათში საერთაშორისო სიმართლის როლი.

სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობების ორგანოები გამოდიან როგორც საზღვარგარეთ სახელმწიფოს წარმომადგენლები და მათი კომპეტენციის ფარგლებში განხორციელებული ყველა მოქმედება განიხილება, როგორც წარმომადგენელი სახელმწიფოს მოქმედება და მას საერთაშორისო სამართლით განსაზღვრულ პასუხისმგებლობას აკისრებს.ნებისმიერი სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობების ყველა ორგანო იყოფა ორ ჯგუფად – შიდასახელმწიფოებრივი (ცენტრალური) და საგარეო.

ამდენად, შეიძლება ითქვას საგარეო ურთიერთობების შიდასახელმწიფოებრივი ორგანოები, მათი ჩამოყალიბებისა და უფლებამოსილებების ხასიათის მიხედვით, ჩვეულებრივ, იყოფა კონსტიტუციურ და სპეციალიზირებულ ორგანოებად. კონსტიტუციური – ყველა სახელმწიფოს მიერ წარმოიქმნება ავტონომიურად. მათი არსებობა პირდაპირ გათვალისწინებულია სახელმწიფოს კონსტიტუციით, რომელიც მის მოცულობასა და ძალაუფლებებს განსაზღვრავს (აქედან გამომდინარეობს მისი სახელწოდებაც – საგარეო ურთიერთობების კონსტიტუციური ორგანო). ხოლო, რაც შეეხება საგარეო ურთიერთობებს, სპეციალიზებული საგარეო ურთიერთობების ორგანოების შექმნა ფორმდება შიდა სამართლებრივი აქტების საფუძველზე, მაგრამ ამ ორგანოების გაჩენა დამოკიდებულია შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულების არსებობაზე, რომლის დიპლომატიური სამართლის კონსპექტი საფუძველზეც მოცემული სახელმწიფო, იქნება რა მისი მონაწილე, განახორციელებს საგარეო ურთიერთობებს რომელიმე სპეციალურ სფეროში. საზღვარგარეთის ქვეყნების საგარეო ურთიერთობების ორგანოები ასევე იყოფა ორ ჯგუფად – მუდმივი და დროებითი. პირველ ჯგუფს განეკუთვნებიან სახელმწიფოების დიპლომატიური წარმომადგენლობები, აკრედიტებულნი იმ ქვეყნებში, რომლებთანაც მათ აქვთ დიპლომატიური ურთიერთობა (საელჩოები, მისიები), საკონსულო დაწესებულებები, მუდმივი წარმომადგენლობები და საერთაშორისო ორგანიზაციებთან დამკვირვებელთა მისიები. ამავე ჯგუფს განეკუთვნებიან სავაჭრო

წარმომადგენლობებიც. დროებითი საგარეო ურთიერთობების ორგანოებს განეკუთვნებიან სხვადასხვა სპეციალური მისიები, დელეგაციები და საერთაშორისო კონფერენციებზე დამკვირვებელთა ჯგუფები, ასევე დელეგაციები, რომლებიც საჭიროა საერთაშორისო ორგანიზაციების სესიების და მათი ორგანოების მუშაობაში. ამასთანავე, საგარეო ურთიერთობების პოლიტიკური ხელმძღვანელობა, მათი ორგანიზაცია და რეგულირება ხორციელდება სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოების, საგარეო ურთიერთობების კონსტიტუციური ორგანოების, პარლამენტის, სახელმწიფოს მმართველის და მთავრობის ხელმძღვანელობის მიერ. დიპლომატიის ობიექტის ასეთ გაფართოებას მისი სუბიექტების წრეში თან სდევს ცვლილებები. ლაპარაკია, ასე ვთქვათ, მეორე რიგის სუბიექტებზე, სახელმწიფოს იმ ორგანოებზე და წარმომადგენლობებზე, რომელთაც დავალებული აქვთ საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმწიფოს სახელით გამოვიდნენ.

ნებისმიერი სახელმწიფო და მათ შორის საქართველო თვითონ წყვეტს, როგორი რიგითობით და რომელი ორგანოების მეშვეობით შეასრულებს თავის საერთაშორისო ვალდებულებებს.სახელმწიფოში თავისებური ადგილი უკავია საგარეო ურთიერთობათა ორგანოებს. მათი მოღვაწეობა ვრცელდება არა მარტო მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიაზე, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ყველა შემთხვევაში, ამ ორგანოების ადგილსამყოფელის მიუხედავად, მათი მოღვაწეობა მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფოებს ოფიციალური ურთიერთობების დამყარებაში ხელი შეუწყონ, დიპლომატიური ხერხებით განახორციელონ ქვეყნის საგარეოპოლიტიკური კურსი. სწორედ აქედან გამომდინარეობს ამ ორგანოების სამართლებრივი ორგანიზაციის განსაკუთრებული ხასიათი და მათში საერთაშორისო სიმართლის როლი.

ამავდროულად საგარეო ურთიერთობების ორგანოები გამოდიან როგორც საზღვარგარეთ სახელმწიფოს წარმომადგენლები და მათი კომპეტენციის ფარგლებში განხორციელებული ყველა მოქმედება განიხილება, როგორც წარმომადგენელი სახელმწიფოს მოქმედება და მას საერთაშორისო სამართლით განსაზღვრულ პასუხისმგებლობას აკისრებს.

§3. საქართველოს დიპლომატიური სამსახურის მისია

საქართველოს კანონით „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ განსაზღვრულია დიპლომატური სამსახურის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები (მუხლი მე-3) დიპლომატიური სამსახურის ძირითადი ამოცანები და ფუნქციებია:

ა) საერთაშორისო და რეგიონული მშვიდობისა და უსაფრთხოების განმტკიცებისათვის ხელის შეწყობა;

ბ) ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის ხელის შეწყობა;

გ) საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების განუხრელი დაცვისა და შემდგომი განვითარებისათვის ხელის შეწყობა;

დ) საქართველოს საგარეო-პოლიტიკური კურსის ძირითადი მიმართულებების შესახებ წინადადებების შემუშავება;

ე) საერთაშორისო ურთიერთობებში საქართველოს ინტერესების წარდგენა და დაცვა;

ვ) დიპლომატიური საშუალებებით საქართველოს სუვერენიტეტის, ქვეყნის უსაფრთხოების, მისი ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ურღვევობის და სხვა სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვა;

ზ) საქართველოსა და სხვა სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, სამეცნიერო და სხვა სახის კავშირების განმტკიცება;

თ) საერთაშორისო ურთიერთობებში საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებების საქმიანობის კოორდინაცია;

ი) სხვა სახელმწიფოებთან საქართველოს საკონსულო პოლიტიკის გატარება;

კ) უცხოეთში განლაგებული საქართველოს საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობისათვის ხელის შეწყობა.

მუხლი 6. დიპლომატიური წარმომადგენლობები

დიპლომატიური წარმომადგენლობებია:

ა) სხვა სახელმწიფოში განლაგებული საქართველოს საელჩო.

ბ)საერთაშორისო ორგანიზაციასთან არსებული საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა და დიპლომატიური მისია. საქართველოს ეროვნული ინტერესების გატარება, საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების უფლებების დაცვა და უკეთესი მსოფლიო თანამეგობრობის ჩამოყალიბებაში წვლილის შეტანა.

ამასთანავე, საქართველოს დიპლომატიური სამსახური - საგარეო საქმეთა სამინისტრო, დიპლომატიური წარმომადგენლობები და საკონსულო დაწესებულებები - ხელმძღვანელობს 2011 წლის 23 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციით“ და 2013 წლის 7 მარტს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული რეზოლუციით „საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ“ წარმოდგენილი ეროვნული ინტერესებითა და ფასეულობებით, რომლებიც განსაზღვრავენ ჩვენი ქვეყნის უმთავრეს საგარეო პოლიტიკურ მიზანს - საგარეო ასპარეზზე ქვეყნის ეროვნული ინტერესების გატარების გზით, საქართველოს უსაფრთხოების, კეთილდღეობისა და საქართველოს მოქალაქეთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფას.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ საქართველოს დიპლომატიური სამსახურის ამოცანაა, არსებული რესურსების ოპტიმალური გამოყენებითა და ცენტრალური აპარატისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების ეფექტიანი ფუნქციონირებით განახორციელოს სტრატეგიით განსაზღვრული საგარეო პოლიტიკური მიზნები - კერძოდ, ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა; დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარება; საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების უფლებების დაცვა; საერთაშორისო უსაფრთხოებისა და მშვიდობის განმტკიცებაში საკუთარი წვლილის შეტანა.

§4.საგარეო პოლიტიკის სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს უმთავრესი სტრატეგიული მიზანია ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცება და ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენა საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში. ქვეყნის გასამთლიანებლად საქართველოს საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ე.წ. დამოუკიდებლობის არაღიარების უზრუნველყოფა, ქვეყნის დეოკუპაციის, იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა საკუთარ სახლებში უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების, საოკუპაციო ხაზებით გაყოფილ მოსახლეობას შორის შერიგებისა და ნდობის აღდგენის ხელშეწყობა, ადგილზე მდგრადი მშვიდობისა და უსაფრთხოების მიღწევა.

აქსიომაა, რომ ევროკავშირისა და ნატოს წევრობა საქართველოს უსაფრთხოების, განვითარებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის უმთავრესი გარანტია, რომელიც ეფუძნება საქართველოს ცივილიზაციურ არჩევანს, არის ფართო საზოგადოებრივი თანხმობის შედეგი და გამყარებულია ქვეყნის კონსტიტუციით;

მნიშვნელოვანი პროექტია „აღმოსავლეთ პარტნიორობა“ რომლის ფარგლებში თანამშრომლობის შემდგომი განვითარება. დოკუმენტის „20 შედეგი 2020 წლისათვის“ განხორციელება და მონიტორინგი. პარტნიორობის ფარგლებში არსებული ორმხრივი და მრავალმხრივი ფორმატების მაქსიმალური გამოყენება.

უმნიშვნელოვანესი პროექტია ასევე ის რომ საქართველოსთვის არის „ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (ნატო) გაწევრიანება. ნატო-ში გაწევრიანებას საქართველო განიხილავს, როგორც ქვეყნის უსაფრთხოების, შემდგომი ინსტიტუციური განვითარების და კეთილდღეობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ ძირითად საშუალებას. საქართველო სრულად იზიარებს პრინციპებსა და ღირებულებებს, რომლის გარშემოც არიან გაერთიანებული ალიანსის წევრი ქვეყნები.

ნატო-ს მისიებსა და ოპერაციებში ჩართულობით საქართველო ადასტურებს საკუთარ მზაობას და შესაძლებლობას, ქმედითი წვლილი შეიტანოს საერთო ევროატლანტიკურ უსაფრთხოებაში. საქართველო, როგორც ნატო-ს სამაგალითო და ერთ-ერთი ყველაზე თავსებადი ასპირანტი ქვეყანა, წარმატებით ასრულებს ალიანსის წინაშე აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებს. ალიანსის მხრიდან 2008 წელს ბუქარესტის სამიტზე ოფიციალურად გაცხადებული და არაერთგზის დადასტურებულია, რომ „საქართველო გახდება ნატო-ს წევრი“ და ქვეყანას გააჩნია ყველა პრაქტიკული მექანიზმი ნატო-ში გასაწევრიანებლად. საქართველო, როგორც ასპირანტი ქვეყანა, გააგრძელებს მის ხელთ არსებული ყველა პოლიტიკური და პრაქტიკული მექანიზმის (მათ შორის ძირითადი ინტეგრაციული მექანიზმების - ნატო-საქართველოს კომისიის, წლიური ეროვნული პროგრამისა და ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის) მაქსიმალურად ეფექტურად გამოყენებას, რათა მოემზადოს ნატოში გაწევრიანებისთვის.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ისიც, რომ ინსტიტუციური დემოკრატიის კონსოლიდაცია და საზღვარგარეთ ქვეყნის პოზიტიური იმიჯის განმტკიცება საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს. ქვეყნის დემოკრატიული მიღწევების შემდგომი კონსოლიდაციის ხელშეწყობა და საზღვარგარეთ საქართველოს, როგორც დემოკრატიული, პროგრესული რეფორმების გამტარებელი, სტაბილური, მდიდარი კულტურისა და მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე ევროპული ქვეყნის იმიჯის განმტკიცება.

საგარეო პოლიტიკის სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს, ასევე, მცირე, ეფექტიანი და გამჭვირვალე მთავრობის პირობებში, ინკლუზიურობისა და კონკურენტუნარიანობის პრინციპების დაცვით საქართველოს მდგრადი ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური მდგომარეობის ინსტიტუციური დემოკრატიის მაღალ სტანდარტებთან დაახლოება. ქვეყანაში ინვესტიციების და თანამედროვე ტექნოლოგიების/ინოვაციების მოზიდვის ხელშეწყობა. მნიშვნელოვანია ქვეყნის სტრატეგიული ადგილმდებარეობისა და მსოფლიო ეკონომიკაში არსებული ახალი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება.

გამომდინარე ზემოთ აღნიშნულიდან შეიძლება თავისუფლად ითქვას, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სმინისტროს კიდევ ერთ სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს საზღვარგარეთ საქართველოს თითოეული მოქალაქის თავისუფლებისა და ღირსების დაცვა, მათთვის თვითრეალიზაციის ფართო შესაძლებლობების მიცემა და ერთიანი, ძლიერი და სამშობლოსთან მჭიდრო კავშირის მქონე დიასპორის აქტიური ჩართვა ქვეყნის განვითარებაში.

§5. საკონსულოები

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2013 წლის 9 ივლისი ბრძანება №158-ით „საკონსულო დაწესებულების გახსნის წესისა და ტიპობრივი დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩამოყალიბებულია შემდეგი რეგულაციები:

მუხლი 7. საკონსულო დაწესებულებები

„საკონსულო დაწესებულებების სახეები და მათი სამართლებრივი მდგომარეობა განისაზღვრება „საქართველოს საკონსულო დაწესებულებათა შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს სხვა სამართლებრივი აქტებით.“[1]

მუხლი 8. გადაწყვეტილება დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულების დაფუძნებისა და გაუქმების შესახებ

ძირითადი ამოცანები და ფუნქციები:

ა) საქართველოს საკონსულო დაწესებულებათა საერთო ხელმძღვანელობა და მათთვის საქმიანობის განხორციელებაში ხელშეწყობა;ბ) საკონსულო სფეროში საკონსულო პოლიტიკის შემუშავება-დაგეგმვა;გ) საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების მიერ საკონსულო სფეროში განხორციელებული საქმიანობისა და საკონსულო დაწესებულებათა საქმიანობის კოორდინაცია და საკონსულო მონიტორინგის განხორციელება;დ) საქართველოს საკონსულო ურთიერთობათა სრულყოფისა და გაფართოების შესახებ წინადადებების მომზადება;ე) საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეებისა და იურიდიული პირების

უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველყოფისათვის სათანადო ღონისძიებების გატარება;ვ) კომპეტენციის ფარგლებში, საგარეო-ეკონომიკურ, სამართლებრივ და კულტურულ სფეროებში საქართველოს ინტერესებისა და პოლიტიკის განხორციელების პროცესში მონაწილეობა;ზ) საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა მიგრაციულ გადაადგილებასთან დაკავშირებულ საკითხთა შესწავლა და კომპეტენციის ფარგლებში მიგრაციული პროცესების მართვაში მონაწილეობა;თ) საკონსულო სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული საერთაშორისო ხელშეკრულებების, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება, მომზადებაში მონაწილეობა და წინადადებების შემუშავება;

დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულები:

- ანალიზისა და დაგეგმარების სამმართველო;
- საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებთან მუშაობის სამმართველო;
- უცხო ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებთან მუშაობის სამმართველო;
- საინფორმაციო-საკონსულტაციო სამმართველო.

§6. საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

უპირველესად ჩამოვაყალიბოთ თუ რა არის დეპარტამენტის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები კერძოდ:

ა) ორმხრივი ურთიერთობების ანალიზის საფუძველზე შეიმუშაოს და დადგენილი წესით წარადგინოს მასალები, წინადადებები და რეკომენდაციები ევროპის სახელმწიფოებთან საქართველოს ურთიერთობათა საკითხებზე. ბ)თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამართოს მოლაპარაკება უცხო ქვეყნების სახელმწიფო ორგანოებთან, საგარეო-პოლიტიკურ უწყებებთან, საერთაშორისო ინსტიტუტებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან.გ) კომპეტენციის ფარგლებში სამინისტროს ხელმძღვანელობას განსახილველად

წარუდგინოს წინადადებები და რეკომენდაციები საქართველოს საგარეო პოლიტიკის დაგეგმარებისა და განხორციელების შესახებ.დ) მონაწილეობა მიიღოს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა პროექტების შემუშავებასა და მოლაპარაკებებში, ასევე დადგენილი წესით წარუდგინოს წინადადებები სამინისტროს ხელმძღვანელობას ხელშეკრულებათა დადების, შესრულების, შეწყვეტისა და მოქმედების შეჩერების შესახებ და დაინტერესებულ უწყებებთან ერთად აწარმოოს მოლაპარაკება ევროპის სახელმწიფოებთან.ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელი შეუწყოს საზღვარგარეთ საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის განხორციელების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას.ვ) კომპეტენციის ფარგლებში კოორდინაცია გაუწიოს საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების მიერ სამინისტროს ხელმძღვანელობის ინსტრუქციების ოპერატიულ შესრულებას.ზ) სამინისტროს ხელმძღვანელობას კომპეტენციის ფარგლებში წარუდგინოს წინადადებები, რეკომენდაციები და დასკვნები საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში დასანიშნი პირების თაობაზე.თ) სუამის ფარგლებში საქართველოს მონაწილეობისა და თანამშრომლობის განხორციელების ხელშეწყობა და კოორდინაცია.

2. ფუნქციების შესრულებისას დეპარტამენტი უფლებამოსილია:

ა) სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისგან გამოითხოვოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც განეკუთვნება საქართველოსა და ევროპის ქვეყნებს შორის ორმხრივ და მრავალმხრივ, აგრეთვე სუამის ფარგლებში მრავალმხრივი თანამშრომლობის საკითხებს.ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გასცეს შესაბამისი მითითებები და ინსტრუქციები საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებზე. გ)საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებიდან გამოითხოვოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია მათ ადგილსამყოფელ ქვეყნაში მიმდინარე პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მოვლენების, ამ ქვეყნების საგარეო-პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ, აგრეთვე სუამის ფარგლებში თანამშრომლობის თაობაზე.დ) მოამზადოს ანგარიშები ოფიციალური და სხვა დელეგაციების ვიზიტების და სუამის

ფარგლებში გამართული შეხვედრების შედეგების შესახებ.ე) აწარმოოს მონიტორინგი ევროპის ქვეყნებში, აგრეთვე სუამის ორგანოებში საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების მუშაობაზე; მათი წლიური ანგარიშის საფუძველზე და მონიტორინგის შედეგების მიხედვით მოამზადოს დასკვნები და რეკომენდაციები საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით.

§7. დიპლომატიური პროტოკოლის დეპარტამენტი

დიპლომატიური დეპარტამენტის ძირითადი ამოცანები და ფუნქციებია:

ა) საზღვარგარეთის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების, მათი მოადგილეების, ელჩების, საერთაშორისო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებისა და მათი წარმომადგენლების, აგრეთვე საქართველოს მაღალი დონის დელეგაციების, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრისა და მისი მოადგილეების ვიზიტების ორგანიზება, საქართველოში საერთაშორისო კონფერენციების, ფორუმების, მინისტერიალების დაგეგმვა და ორგანიზება.ბ) კონსულტაციის გაწევა საქართველოს სამინისტროებისა და უწყებებისადმი უცხოელი სტუმრების მიღების ორგანიზებისა და დიპლომატიური პროტოკოლის ნორმების დაცვის საკითხებში.გ) საქართველოს პრეზიდენტისათვის საზღვარგარეთის სახელმწიფოთა ელჩების მიერ რწმუნებათა სიგელების გადაცემის ცერემონიის დაგეგმვა- ორგანიზება.დ) „საქართველოს ტერიტორიაზე დიპლომატიური მისიებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ფუნქციონირების საკითხების განხილვა და გადაწყვეტა, ასევე მათ წინაშე წარმოქმნილ პრობლემებზე დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში ოპერატიული რეაგირება.ე) საქართველოში საზღვარგარეთის დიპლომატიური, საერთაშორისო მისიებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომლებისათვის დიპლომატიური, საკონსულო, სამსახურებრივი და სააკრედიტაციო ბარათების განსაზღვრა კლასიფიკაციის მიხედვით და გაცემა.ვ) საქართველოში საზღვარგარეთის დიპლომატიური წარმომადგენლობების, საკონსულო დაწესებულებებისა და

საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომელთა იმუნიტეტისა და პრივილეგიების დაცვის კონტროლი.ზ) საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დანიშვნის შესახებ აგრემანის მოთხოვნა და რწმუნებათა სიგელების დამზადების უზრუნველყოფა.თ) სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ერთად, ეროვნულ დღესასწაულებთან დაკავშირებით, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მისალოცი წერილების დამზადება.ი) საქართველოს ეროვნულ დღესასწაულებთან დაკავშირებულ, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში სხვა ღონისძიებებში საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელთა მონაწილეობის უზრუნველყოფა.კ) საქართველოში დიპლომატიური კორპუსის წევრების მოგზაურობის დაგეგმვა და განხორციელება საჭიროების შემთხვევაში.ლ) საჭიროებისას, კომპეტენციის ფარგლებში, დიპლომატიური წარმომადგენლობების, საერთაშორისო მისიებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე წამოჭრილი სხვადასხვა ოპერატიული პრობლემის განხილვა-გადაწყვეტა.მ) საერთაშორისო პროტოკოლის პრინციპებისა და ნორმების დაცვის მიზნით, თეორიულ-მეთოდური საქმიანობა საქართველოში არსებული საერთაშორისო პრინციპებისა და ნორმების საფუძველზე.

თავი III. საქართველო საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში და საგარეო პოლიტიკის სტრატეგია

§1. საქართველო საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში

საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, უსაფრთხოების, სტაბილურობისა და განვითარების სრულად უზრუნველყოფა, ურთიერთდამოკიდებულ სამყაროში მხოლოდ მჭიდრო თანამშრომლობით არის შესაძლებელი. შესაბამისად, საქართველო აქტიურად

თანამშრომლობს საერთაშორისო სისტემის ფარგლებში და მონაწილეობს გლობალური უსაფრთხოების განმტკიცებაში. კერძოდ, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საერთაშორისო ტერორიზმთან და ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის, ენერგეტიკული უსაფრთხოების, შეიარაღებაზე კონტროლისა და გაუვრცელებლობის უზრუნველყოფის საქმეში და მომავალშიც აქტიურად განაგრძობს საერთაშორისო საზოგადოების წინაშე არსებულ, უსაფრთხოების გამოწვევებთან აქტიურ ბრძოლას. ამასთან, საგარეო უწყების ძალისხმევა მიმართული იქნება მსოფლიოსთვის საქართველოს პოტენციალის ობიექტურად და პოზიტიურად წარმოჩენისაკენ.

საერთაშორისო უსაფრთხოება

უმნიშვნელოვანესი ამოცანაა,საქართველოს წვლილის გაძლიერება საერთაშორისო უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცების საქმეში. როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, საქართველო აქტიურად მონაწილეობს რეგიონული და გლობალური უსაფრთხოების ფორმატებში და საკუთარი წვლილი შეაქვს საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცების პროცესში, როგორც ფუძემდებლური პრინციპების და აღებული ვალდებულებების შესრულების, სათანადო შეთანხმებებსა და კონვენციებთან მიერთების, ასევე საერთაშორისო ოპერაციებში მონაწილეობის გზით. საქართველო იზიარებს არამხოლოდ ევროატლანტიკური თანამეგობრობის ფასეულობათა ერთიან სისტემას, არამედ კოლექტიური თავდაცვის პრინციპსაც.

ჯერ, კიდევ 2004 წლიდან 2014 წლამდე ქართველი სამხედროები მონაწილეობდნენ ავღანეთის ერთ-ერთ ყველაზე ცხელ წერტილში - ჰელმანდის პროვინციაში უსაფრთხოების მხარდამჭერი საერთაშორისო ძალების (ISAF) ოპერაციაში. 2015 წლიდან ქართული მხარე მონაწილეობს ავღანეთში ნატო-ს ახალ მისიაში - „მტკიცე მხარდაჭერა“.

შეიძლება ეს ბევრისთვის არ იყოს ცნობილი, მაგრამ, საქართველო აქტიურად თანამშრომლობს ევროკავშირთან უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის

ფარგლებში. საქართველოს საკუთარი წვლილი შეაქვს ევროკავშირის კრიზისის მართვის ოპერაციებში, მათ შორის, საქართველოს შეაირაღებული ძალები მონაწილეობენ ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში მიმდინარე ევროკავშირის სამხედრო ოპერაციაში (EUFOR RCA).

საერთაშორისო უსაფრთხოების გაძლიერების მიზნით:

- სრულყოფილი ფორმით გაგრძელდება საქართველოს მიერ წვლილის შეტანა ავღანეთში „მტკიცე მხარდაჭერის“ (Resolute Support) მისიაში.
- ძალაში რჩება ევროკავშირთან კონსულტაციები და ძალისხმევა ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) ფარგლებში თანამშრომლობის განვითარების მიზნით. მათ შორის, ევროკავშირის მიერ წარმოებულ მისიებში საქართველოს სამხედრო და სამოქალაქო პირების მონაწილეობისა და აღჭურვილობით შესაძლო კონტრიბუციის უზრუნველსაყოფად.
- გრძელდება გაერო-სთან კონსულტაციები და ძალისხმევა გაერო-ს სამშვიდობო ოპერაციებში, საქართველოს სამხედრო და სამოქალაქო პირების მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით.
- ასევე გაგრძელდება საქართველოს ძალისხმევა ევროკავშირთან უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის შემდგომი გააქტიურებისა და გაღრმავების კუთხით.
- მომავალშიც განხორციელდება ძალისხმევა ეუთო-ს ეფექტიანობის გაზრდისა და უსაფრთხოების საკითხებში მისი ქმედითი ჩართვის მიმართულებით, როგორც საქართველოს, ასევე მთელი ეუთო-ს სივრცის მასშტაბით.
- და ამავდრიულად ხელი შეეწყობა ქვეყნის უფრო აქტიურ მონაწილეობას ეუთო-ს ორგანიზაციის საქმიანობის ყველა სფეროში, მათ შორის, ორგანიზაციის უსაფრთხოებისსაკითხებში თანამშრომლობის ფორუმის (FSC) ფარგლებში.

ენერგეტიკული უსაფრთხოება

ერთ-ერთი პრობლემური საკითხი არის ენერგოუსაფრთხოება.სწორედ ამiტომ, მსოფლიოში არსებული შეზღუდული ბუნებრივი რესურსებისა და ენერგიის მოხმარებაზე მზარდი მოთხოვნის პირობებში, საქართველოს ენერგეტიკული დამოუკიდებლობა და უსაფრთხოება მნიშვნელოვანია როგორც ჩვენი ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის, ასევე, ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ამ კუთხით, საქართველოს, მისი განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობის გამო, საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი აკისრია, რასაც ქვეყნის ტერიტორიაზე სხვადასხვა ენერგეტიკული, სატრანსპორტო და სატრანზიტო მაგისტრალების არსებობა ადასტურებს. ბაქო-სუფსისა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენები და ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი უკვე მოქმედი სტრატეგიული პროექტებია. ქვეყნის სატრანზიტო ენერგეტიკული პოტენციალი მკვეთრად გაიზრდება 2018 წლიდან, როდესაც ამოქმედდება შაჰდენიზის ე.წ. მეორე ფაზა და ბუნებრივი აირის დამატებითი მოცულებები გაივლის საქართველოს ტერიტორიაზე.

პოზიტიურია ის საკითხი, რომ, საქართველოს გააჩნია ენერგიის წარმოების მნიშვნელოვანი პოტენციალი ჰიდრო–ენერგეტიკის სფეროში, რაც მნიშვნელოვანია როგორც ქვეყნის, ისე რეგიონის ენერგეტიკული უსაფრთხოებისათვის. ელექტროსადგურების მშენებლობის კუთხით არსებული პოტენციალი, მისი რეალიზაციის შემთხვევაში, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს რეგიონის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. აღსანიშნავია შავი ზღვის ელექტროენერგიის გადაცემის პროექტი, რომელიც უკვე დასრულებულია და თურქეთთან დამაკავშირებელი ხაზი საექსპორტო მოცულობებით დასატვირთად სრულ მზადყოფნაშია. გრძელვადიან პერსპექტივაში იგეგმება აღნიშნული ხაზით ევროპის ქვეყნებში ელექტროენერგიის ექსპორტი.

საგულისხმოა ია საკითხი, რომ ენერგიის მიწოდებაზე არსებული მონოპოლიები მსოფლიოში ენერგორესურსებზე არსებული მზარდი მოთხოვნის ფონზე ხშირად არასასიკეთო პოლიტიკური მანიპულირების საშუალებას იძლევა. გადაჭარბებული

დამოკიდებულება ენერგიის ერთ მიმწოდებელზე, რომელიც საკუთარ ენერგორესურსებს პოლიტიკური ზეწოლისთვის იყენებს, საფრთხის შემცველია საერთო ევროპული უსაფრთხოებისათვის. აქედან გამომდინარე, ენერგიის წყაროებისა და ტრანსპორტირების გზების დივერსიფიცირება ევროპული თანამეგობრობის, მათ შორის საქართველოს წინაშე მდგარი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.

ამდენად, ზემოაღნიშნული ამოცანის მისაღწევად:

- პრიორიტეტი მიენიჭება ე.წ. სამხრეთის ენერგეტიკული დერეფნის ფარგლებში ახალი პროექტების განხორციელებას.
- ძალისხმევა მიმართული იქნება საქართველო-თურქეთის ელექტროგადამცემი სისტემის ინტეგრირების მეშვეობით, საქართველოს ერთიან ევროპულ სისტემაში ჩართვისკენ.
- ხელი შეეწყობა ახალი ენერგოპროექტების განხორციელებას, კერძოდ, ენერგორესურსების ტრანსპორტირების ალტერნატიული მარშრუტების განვითარებას, რაც ენერგიის მწარმოებელი, სატრანზიტო და მომხმარებელი ქვეყნების ინტერესთა გათვალისწინებით შემუშავდება.
- ქვეყანა ინტენსიურად იმუშავებს განახლებადი ენერგიების ათვისების მიმართულებით როგორც ქვეყნის შიდა მოთხოვნის დაკმაყოფილების, ისე საექსპორტო მოცულობების გაზრდის მიზნით.
- ხელი შეეწყობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში ენერგეტიკული დიალოგისა და თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებას.
- მოხდება, საქართველოს ტერიტორიის გავლით, ენერგოდერეფნების ამოქმედების პოტენციალის წარმოჩენა. დიპლომატიური ძალისხმევა მიმართული იქნება, რათა გაძლიერდეს მსოფლიო თანამეგობრობის და კერძოდ, ევროკავშირის ინტერესი პოტენციური ენერგოპროექტების მიმართ, რომლებიც, საქართველოს გავლით, ენერგორესურსების ტრანსპორტირების ახალი მარშრუტების ამოქმედებას უკავშირდება.

ახალ საფრთხეებთან ბრძოლა

ამ ტიპის საფრთხეს განეკუთვნება - საერთაშორისო ტერორიზმთან და ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა და მათი პრევენცია.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ, თანამედროვე მსოფლიო უსაფრთხოებისთვის ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევაა ისეთი ტიპის ასიმეტრიული საფრთხეები, როგორიცაა საერთაშორისო ტერორიზმი და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული; იარაღის, მათ შორის მასობრივი განადგურების იარაღისა და მისი შემადგენელი კომპონენტების; ასევე ნარკოტიკების უკანონო გადაზიდვები და ვაჭრობა; ადამიანთა ტრეფიკინგი და კიბერდანაშაული. შესაბამისად, საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად, მათ წინააღმდეგ ბრძოლა და მათთან დაკავშირებული რისკების პრევენცია საქართველოს ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა. განსაკუთრებით საყურადღებოა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული რთული ვითარება, რაც კრიმინალისა და ორგანიზებული დანაშაულისა და ტერორიზმისათვის ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის.

გამომდინარე ზემოთ აღნიშნულიდან ამ მიმართულებით გადაიდგმება შემდეგი ნაბიჯები:

- უწყვეტად გაგრძელდება აქტიური მონაწილეობა ტერორიზმის, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ საერთაშორისო ბრძოლასა და მრავალეროვნულ ანტიტერორისტულ ოპერაციებში საკუთარი წვლილის შეტანის კუთხით.
- ასევე გაგრძელდება გაერო-ს ანტიტერორისტული კონვენციებისა და ოქმებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება და აღნიშნულ სფეროში შესაბამის საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მათ შორის გაერო-სთან, ეუთო-სთან, ევროპის საბჭოსთან, ევროკავშირთან, ნატო-სთან და პარტნიორ სახელმწიფოებთან მჭიდრო თანამშრომლობა.

- და რაღათქმა უნდა გაღრმავდება ურთიერთობები პარტნიორ სახელმწიფოებთან და შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან კიბერ უსაფრთხოების საკითხებზე როგორც პრაქტიკული თანამშრომლობის განვითარების, ასევე არსებული გამოცდილების გაზიარების მიზნით.

მორიგი პრობლემური საკითხია შეიარაღებაზე კონროლი და გაუვრცელებლობა

მსოფლიოსთვის მასობრივი განადგურების იარაღის, მისი გადამტანი საშუალებებისა და შემადგენელი კომპონენტების, მასთან დაკავშირებული ტექნოლოგიებისა და ჩვეულებრივი შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის უკონტროლო გავრცელების პრევენცია.

მსოფლიოსათვის შემაშფოთებელია რომ მასობრივი განადგურების იარაღის, მასთან დაკავშირებული ტექნოლოგიებისა და მასალების უკონტროლო გავრცელება თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გამოწვევაა, რომლის ეფექტიანი პრევენცია მხოლოდ მრავალეროვნული კონსოლიდირებული მიდგომებით არის შესაძლებელი. შეიარაღებაზე კონტროლისა და გაუვრცელებლობის საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის. საქართველო გეოგრაფიულად ესაზღვრება მასობრივი განადგურების იარაღის, მასთან დაკავშირებული ტექნოლოგიებისა და მასალების გავრცელების თვალსაზრისით მაღალი რისკის მქონე რეგიონებს. შესაბამისად, არსებობს საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის პოტენციალის, უკანონო გადაზიდვებისთვის გამოყენების მცდელობის საფრთხე. ამასთან, ქვეყნის ოკუპირებული ტერიტორიები წარმოადგენს ნაყოფიერ ნიადაგს სხვადასხვა ტიპის არალეგალური საქმიანობისთვის. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო მაკონტროლებელი მექანიზმების არარსებობისა და დიდი ოდენობით შეიარაღების უკონტროლო თავმოყრის გათვალისწინებით მაღალია ოკუპირებული რეგიონებიდან სხვადასხვა ტიპის შეიარაღებისა და მასთან დაკავშირებული ტექნოლოგიების უკანონო გადინებისა და გავრცელების რისკი, რაც საფრთხეს უქმნის არამარტო საქართველოს, არამედ რეგიონულ და საერთაშორისო უსაფრთხოებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-

ერთი პრიორიტეტული ამოცანა იქნება მასობრივი განადგურების იარაღის, მისი გადამტანი საშუალებებისა და შემადგენელი კომპონენტების, მასთან დაკავშირებული ტექნოლოგიების, ჩვეულებრივი შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის უკონტროლო გავრცელების პრევენცია და საქართველოში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი შეიარაღების და ორმაგი დანიშნულების საქონლის ექსპორტის სისტემის გამართული ფუნქციონირების ხელშეწყობა.

პრობლემის სირთულიდან გამომდინარე ამ ამოცანების შესასრულებლად დაწესდება შემდეგი რეგულაციები::

- ამ ტიპის შეიარაღებაზე კონტროლის განმტკიცებისა და უკანონო ვაჭრობის აღმოფხვრის მიზნით, გაგრძელდება საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევაში ქვეყნის სრულფასოვანი მონაწილეობა.
- მსოფლიოს მასშტაბით პარტნიორ სახელმწიფოებთან და ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით, გაგრძელდება ეროვნული უსაფრთხოების ინსტიტუციური სრულყოფა და შესაბამისი შიდა მექანიზმების საერთაშორისო მექანიზმებთან ჰარმონიზაცია.

მნიშვნელოვანია საერთაშორისო არენაზე საქართველოს ობიექტურად და პოზიტიურად წარმოჩენა, გარე სამყაროსათვის ქვეყნის სრული პოტენციალის ეფექტიანად დემონსტრირებისა და რეფორმატორული გამოცდილების გაზიარების გზით

- Oყველა მიმართულებით განხორციელდება ძალისხმევა გარე სამყაროსათვის ქართული კულტურის რესურსების მაქსიმალურად წარმოჩენის კუთხით. კერძოდ:

  საგარეო უწყება საგარეო პოლიტიკის წარმართვისას აქტიურად გამოიყენებს კულტურულ კომპონენტს და განახორციელებს ეფექტიან კულტურულ დიპლომატიას.

- ხელი შეეწყობა საერთაშორისო კულტურულ ცხოვრებაში საქართველოს მეტ ჩართულობას.

- განხორციელდება ძალისხმევა, რათა მსოფლიო საზოგადოებამ უკეთ გაიცნოს საქართველოს კულტურა და ისტორია.
- ხელი შეეწყობა საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს, როგორც მდიდარი და მრავალფეროვანი კულტურის მქონე ქვეყნის წარმოჩენას, რომელიც ევროპული კულტურული სივრცის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.
- საგარეო უწყება კომპეტენციის ფარგლებში ხელს შეუწყობს საზღვარგარეთ ქართული კულტურული მემკვიდრეობის დაცვას.
- განხორციელდება ძალისხმევა, როგორც ორმხრივ, ასევე მრავალმხრივ ფორმატში საერთაშორისო კულტურული და ჰუმანიტარული თანამშრომლობის განვითარებისა და ერთობლივი საერთაშორისო პროექტების განხორციელების მიმართულებით.
- საქართველო აქტიურად ითანამშრომლებს გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციასთან (UNESCO) ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის გაძლიერებისა და გლობალურ ჰუმანიტარულ პროცესებში მაქსიმალურად ჩართვის მიზნით.
- განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა UNESCO-ს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიურად ჩართვას რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებში.
- დიპლომატიური არხების გამოყენებით, მსოფლიოს თანამამეგობრობას მიეწოდება ინფორმაცია საქართველოში მომხდარი პოზიტიური ძვრებისა და წარმატებების თაობაზე.
- ტრანზიციის ეტაპზე მყოფი ქვეყნებისთვის მოხდება საქართველოს რეფორმატორული გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობა.
- გავრცელდება ინფორმაცია საერთაშორისო მშვიდობის, უსაფრთხოების განმტკიცებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის საქმეში საქართველოს მიერ შეტანილი წვლილის შესახებ.

ასევე, მოხდება ნეგატიურ პროპაგანდასა და დეზინფორმაციასთან ბრძოლა. *კერძოდ, დიპლომატიური ინსტრუმენტების მეშვეობით, განხორციელდება კონტრზომები, საქართველოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მიმართული პროპაგანდის, დეზინფორმაციისა და არასწორი სტერეოტიპების წინააღმდეგ.*

§2. საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია

როდესაც განვიხილავთ საქართველოს საგრეო პოლიტიკის სტრატეგიას თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს დიპლომატიური სამსახურის მიზანია, ხელი შეუწყოს სახელმწიფოს უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფას. ამ მიზნის მისაღწევად, დიპლომატიური სამსახურის მთავარი ამოცანა, მშვიდობიანი გზით ქვეყნის დეოკუპაციის და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის წარმატებული პოლიტიკის განხორციელება და საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციაა, რომელიც ჩვენი ქვეყნისა და მოქალაქეების უსაფრთხოების, დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფის ერთ-ერთ უმთავრეს წინაპირობას წარმოადგენს.

რა თქმა უნდა, უპირველესი საკითხია სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა.

კერძოდ, საქართველოს სუვერენიტეტისა და საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებული სახელმწიფო საზღვრების ურღვევობის განმტკიცება, მშვიდობიანი გზით ქვეყნის დეოკუპაციის წარმატებული პოლიტიკის განხორციელება და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ხელშეწყობა.

ზემოხსენებული ამოცანების შესასრულებლად:

- ანალოგიურ რეჟიმში გაგრძელდება თანამშრომლობა პარტნიორ სახელმწიფოებთან, მათ მიერ აფხაზეთისა, საქართველო და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთი ოსეთი, საქართველო ოკუპაციისა და იქ განხორციელებული

ეთნიკური წმენდის დამგმობი რეზოლუციების ან/და სხვა ოფიციალური დოკუმენტების მხარდაჭერის მიზნით.

-

- მნიშვნელოვანწილად გაგრძელდება ძალისხმევა და მოლაპარაკებები ,ევროკავშირის შესაბამის ინსტიტუტებსა და წევრ-სახელმწიფოებთან, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის (EUMM) მანდატის გაგრძელებისა და შემდგომი გაძლიერების მიმართულებით, ისევე როგორც მისიის არსებული მანდატის შესაბამისად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მონიტორინგის განხორციელების უზრუნველსაყოფად.

-

პარალელურ რეჟიმში გაგრძელდება ძალისხმევა ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების მეორე სამუშაო ჯგუფის ფარგლებში ხელშესახები პროგრესის, მათ შორის, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთარ საცხოვრებელ სახლებში უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების ძირითად პრინციპებზე შეთანხმების მისაღწევად. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისისა (UNHCR) და პარტნიორი სახელმწიფოების აქტიურ ჩართულობას ისევე, როგორც საერთაშორისო საზოგადოების მტკიცე მხარდაჭერას აღნიშნულ საკითხებში.

- *ამავდროულად* გაგრძელდება მუშაობა გაერო-ს გენერალური ასამბლეის მიერ რეზოლუციის „აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალი რეგიონიდან, იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ მხარდაჭერის, საკითხის საბოლოო მოგვარებამდე მისი რეგულარულად მიღებისა და ამ საკითხის

საერთაშორისო საზოგადოების პოლიტიკურ დღის წესრიგში მუდმივად არსებობის მიმართულებით.

ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაცია

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ცნობილია რომ, საქართველოსთვის მთავარი მიზანია საერთო ევროპულ ოჯახში ადგილის დამკვიდრება ევროკავშირში ეტაპობრივი ინტეგრაციისა და ნატოში გაწევრიანების გზით.

მნიშვნელოვანია, რომ, გეოგრაფიული, პოლიტიკური, კულტურული და ღირებულებათა სისტემის თვალსაზრისით, საქართველო ევროპის განუყოფელი ნაწილია, რომელსაც ქართული სახელმწიფოებრიობა ისტორიული მოვლენების შედეგად ხელოვნურად მოწყდა. საქართველოს ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ქვეყნის უსაფრთხოების, განვითარებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიზნით, ევროკავშირში ინტეგრაცია და ნატო-ში გაწევრიანება საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, რომელიც ეროვნული კონსენსუსის შედეგია და საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის (ორ მესამედზე მეტის) ნებითა და არჩევანითაა გამყარებული

ევროკავშირში ინტეგრაცია

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ევროპული ტიპის ლიბერალურ-დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება და ევროკავშირში ეტაპობრივი ინტეგრაცია ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა. ასოცირების შეთანხმება საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების კონკრეტულ მექანიზმს წარმოადგენს და ყველა ძირითად სფეროში ქვეყნის განვითარების ახალ შესაძლებლობებს ქმნის, ევროპული სტანდარტების ეტაპობრივად დანერგვის გზით. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ფორმირება გზას უხსნის საქართველოს საქონელსა და მომსახურებას ევროკავშირის შიდა ბაზარზე და ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვის ახალ შესაძლებლობას ქმნის. ამასთან, ასოცირების შეთანხმება არ ზღუდავს და ღიას ტოვებს ევროკავშირსა და საქართველოს შორის

სამომავლო პროგრესული განვითარების გზას და არ წარმოადგენს საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის საბოლოო ეტაპს

ხაზი გაუსვათ იმ საკითხსაც, რომ, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობებში შექმნილი ზემოხსენებული ახალი შესაძლებლობებისა და პერსპექტივების გამოყენებით, მოცემულ პერიოდში საგარეო უწყების ძალისხმევა ევროკავშირთან პოლიტიკურ, თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავების, ეკონომიკური ინტეგრაციის, მათ შორის სექტორული თანამშრომლობის გაღრმავებისა და შენგენის ქვეყნებთან უვიზო რეჟიმის შემოღების უზრუნველყოფის ხელშეწყობისაკენ იქნება მიმართული.

ამიტომაც მივიჩნევთ რომ ზემოხსენებული ამოცანების შესასრულებლად:

უპირველესად მომავალში განხორციელდება ძალისხმევა, ასოცირების შეთანხმების ეფექტიანი განხორციელების ხელშეწყობის მიმართულებით. კერძოდ:

- ამ მიზნით გააქტიურდება საქმიანობა, შეთანხმების ძალაში სრულად შესვლამდე, დროებით ამოქმედებული ნაწილის, მათ შორის ასოცირების დღის წესრიგით განსაზღვრული პრიორიტეტების შესრულების კუთხით.
- ასევე გადაიდგმება ნაბიჯები, შეთანხმების რატიფიცირების პროცესის დროულად განხორციელების ხელშეწყობის მიმართულებით.
- მონიტორინგისა და პრევენციის ფარგლებში გაგრძელდება ძალისხმევა, ევროკავშირის მიერ საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერის უზრუნველყოფის, მათ შორის, საქართველოს ოკუპირებული რეგიონების დამოუკიდებლობის არაღიარების პოლიტიკის გაგრძელების უზრუნველსაყოფად.

  დაგეგმილია რომ, ასევე გადაიდგმება ნაბიჯები ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის მიმართულებით. კერძოდ:

- მუდმივ რეჟიმში სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის წარმატებით შესრულებისა და ევროკავშირის მხრიდან საქართველოსთან უვიზო მიმოსვლის თაობაზე გადაწყვეტილების დროულად მიღების ხელშეწყობის კუთხით.

უკვე დასახული მიზნების ფარგლებში განხორციელდება აქტიური ძალისხმევა, ევროკავშირის ენერგომომარაგების დივერსიფიცირების პროექტებში, საქართველოს ჩართვის უზრუნველყოფის მიზნით და საქართველოს ენერგოგაერთიანებაში გაწევრიანების თაობაზე, მოლაპარაკებების წარმატებით დასრულების მიმართულებით.

მიზნების ფარგლებში ასევე წარიმართება საქმიანობა ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) ფარგლებში თანამშრომლობის განვითარების მიმართულებით. *მათ შორის:*

- კვლავ განხორციელდება ძალისხმევა ევროკავშირის სამოქალაქო მისიებსა და სამხედრო ოპერაციებში საქართველოს მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.
- ასევე გადაიდგმება ნაბიჯები, მხარეებს შორის კრიზისების მართვისა და მონიტორინგის სფეროში თანამშრომლობის გასავითარებლად.

უაღრესად მნიშვნელოვანია რომ განხორციელდება ძალისხმევა ევროკავშირის სხვადასხვა პროგრამებისა და სააგენტოების მუშაობაში საქართველოს მონაწილეობის უზრუნველყოფისა და მათთან თანამშრომლობის გაღრმავების მიმართულებით, მათ შორის ევროპული თავდაცვის სააგენტოსთან (EDA), ევროპის პოლიციის სამსახურთან (Europol), ევროკავშირის სამართლებრივი თანამშრომლობის სააგენტოსთან (Eurojust) და სხვა.

ნატო- ში გაწევრიანება

საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში გაწევრიანება. საქართველო სრულად იზიარებს დემოკრატიის, პიროვნების თავისუფლებისა და კანონის უზენაესობის პრინციპებს და ფასეულობებს, რომლებსაც ემყარება ჩრდილოატლანტიკური ალიანსი. საქართველო ნატო-ს განიხილავს კოლექტიური თავდაცვის ერთადერთ ორგანიზაციად, რომელსაც

შესწევს უნარი და გააჩნია შესაბამისი პოლიტიკური, სამხედრო და სხვა რესურსები, რათა შეინარჩუნოს მშვიდობა ევროატლანტიკურ სივრცეში და უზრუნველყოს მისი წევრების უსაფრთხოება. ნატო-ში გაწევრიანება უმნიშვნელოვანესია როგორც უსაფრთხოების, ასევე დემოკრატიული განვითარების შეუქცევადობის უზრუნველყოფისთვის.

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს რომ საქართველოს ალიანსში ინტეგრაციის კონტექსტში უმნიშვნელოვანესი იყო 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე მოკავშირეების მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომ „საქართველო გახდება ნატო-ს წევრი", რომელიც განმტკიცებულ იქნა ალიანსის მომდევნო სამიტებზე.

იმდენად, რამდენადაც მოცემულ პერიოდში საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება იქნება ბუქარესტის სამიტის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების პრაქტიკული განხორციელება, გადაიდგმება კონკრეტული და ქმედითი ნაბიჯები ქვეყნის ალიანსში გაწევრიანების გზაზე.

ამ კუთხით მნიშვნელოვანია რომ 2014 წელს ნატო-ს უელსის სამიტზე საქართველო ჩაერთო „თავსებადობის ინიციატივაში" ნატო-ს ოთხ პარტნიორ სახელმწიფოსთან ერთად. ასევე მოკავშირეებმა დაამტკიცეს „ნატო-საქართველოს არსებით ღონისძიებათა პაკეტი", რომლის მიზანია ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლება და ალიანსში გაწევრიანებისათვის ნიადაგის მომზადება. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია „არსებითი პაკეტით" გათვალისწინებული ღონისძიებების იმპლემენტაცია.[2]

ამიტომაც მიგვაჩნია, რომ, ზემოაღნიშნულის მისაღწევად მნიშვნელოვანი იქნება შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

- ნატოსთან და ალიანსის წევრ ქვეყნებთან საქართველოს უსაფრთხოების განმტკიცებისკენ მიმართული პრაქტიკული თანამშრომლობის გაღრმავება.

- გაწევრიანების საკითხზე ნატო-ს წევრი ქვეყნებისგან პოლიტიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა.
- ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტით გათვალისწინებული ელემენტების სრულყოფილად იმპლემენტაცია.
- ნატო-სა და საქართველოს შორის პრაქტიკული თანამშრომლობის გაღრმავების ხელშეწყობა,სხვადასხვა სფეროებში ალიანსის პრაქტიკული და საექსპერტო დახმარების მოზიდვა დამაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენება.
- ნატოს წევრ ქვეყნებთან თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებისხელშეწყობა.
- ალიანსში ინტეგრაციის საკითხებში, ნატოს ასპირანტ ქვეყნებთან თანამშრომლობის განვითარება
- ავღანეთიდან ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკისკენ მიმავალი ალიანსის ტვირთების სახმელეთო დასაზღვაო ტრანზიტისას, საქართველოს ტერიტორიის გამოყენების (ცენტრალური მარშრუტის)მაქსიმალური ხელშეწყობა და შესაბამის სფეროებში რეგიონული თანამშრომლობის გააქტიურება.
- და ბოლოს ნატო-ში ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით, ალიანსის სხვადასხვა პროგრამებსა და ფორმატებში საქართველოს ეფექტიანი მონაწილეობის უზრუნველყოფა.

ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ დემოკრატიული ინსტიტუტების თაობაზეც, კერძოდ, დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცების, კარგი მმართველობის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფის ხელშეწყობასტან დაკავშირებით.

ცნობილი ფაქტია, რომ, 2012 წელს არჩევნების გზით, საქართველოში ხელისუფლების მშვიდობიანი ცვლილების პრეცედენტმა, 2013 წლის საპრეზიდენტო და 2014 წლის ადგილობრივმა არჩევნებმა, მიმდინარე პოლიტიკურმა და

ინსტიტუციურმა რეფორმებმა, მათ შორის, საკონსტიტუციო ცვლილებებმა, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს შორის დაბალანსებული და ურთიერთკონტროლის სისტემის შექმნა, ცხადყო საქართველოში დემოკრატიული პროცესების განვითარების სიმწიფე. საქართველოს ხელისუფლების პრიორიტეტია მმართველობის დემოკრატიული სისტემის შემდგომი განვითარება და საქართველოში ევროპული ტიპის ლიბერალურ-დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობა.ამ ამოცანების შესასრულებლად:

რა თქმა უნდა, საგარეო უწყება, წამყვან საერთაშორისო ორგანიზაციებთან ინტენსიური თანამშრომლობისა და პარტნიორ სახელმწიფოებთან რეგულარული კონსულტაციების მეშვეობით, საქართველოს შესაბამის უწყებებთან ერთად, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელს შეუწყობს ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების გაძლიერებას.

- ასევე, ჩანიშნულია, რომ, აქტიური თანამშრომლობა გაგრძელდება გაერო-ს ადამიანის უფლებების კომისიასთან და გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლეს კომისართან (UNHCR), ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასთან (OSCE), საკუთრივ, მის ინსტიტუტებთან - დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისთან (ODIHR) და ეროვნული უმცირესობების საკითხებში ეუთოს უმაღლესი კომისრის (HCNM) ოფისთან. გაგრძელდება მჭიდრო თანამშრომლობა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა უმაღლეს კომისართან და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სასამართლოსთან; ასევე ევროპულ კომისიასთან (ვენეციის კომისია), რომელთა ძალისხმევაც ადამიანის უფლებების დაცვის, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების, კანონის უზენაესობის უზრუნველყოფისა და სხვა დემოკრატიული ფასეულობების განმტკიცებისკენაა მიმართული.

§3. ქართული დიპლომატიის მომავალი

უძველესი დროიდან მოყოლებული სახელმწიფოთა შორის, ზოგიერთი მათგანი აღწევდა წარმატებას და დიდების ზენიტს, ხოლო რომელიც აღმოჩნდებოდა სუსტი. შესაბამისად პოლიტიკური ტუკიდან ქრებოდა. სახელმწიფო იმთავითვე დაფუძნებული იყო და არის კანონებზე, რომელთა მორჩილება ყოველი მოქალაქის ვალდებულებაა. ეს ქმნის წესრიგსა და სამართლიანობას საზოგადოებაში და ვინც წავა კანონის წინააღმდეგ და დაარღვევს მას, მის მიიმართ გატარდება შესაბამისი სასჯელი. ისტორიას თუ გადავხედავთ, დავინახვთ რომ უძველეს სახელმწიფოებში იქმნებოდა კანონები, რთ-ერთი ასეთი სახელმწიფო იყო ბაბილონი, რომლის მეფე ჰამურაბი, რომელმაც შექმნა 282 მუხლისაგან შემდგარი კანონები და ეს კანონები იყო სწორედ ხელისუფლებისა და სახელმწიფო ინტერესების დამცველი. ასევე საინტერესო იყო ძველი ინდოეთის კანონები, რომელიც შექმნა მეფე მანუმ ძვ.წ-აღ-ის III საუკუნეში.

სახელმწიფო მართვის ერთ-ერთი დამხმარე საშუალება არის რათქმაუნდა დიპლომატია რომელიც გულისხმობს ამა თუ იმ ქვეყნებს შორის ურთიერთობას პოლიტიიკურ, ეკონომიკურ თუ სხვა სფეროში. ანუ დიპლომატია ზრუნავს საგარეო პოლიტიკაზე და ამასთან დიპლომატიის უზენაესი ამოცანაა ქვეყნებს შორის წარმოშობილი კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარება.

დიპლომატია წარმოადგენს სახელმწიფო ძალის ელემენტს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიპლომატია მნიშვნელოვანია საერთაშორისო მშვიდობის შენარჩუნებისათვის და ამისთვის დღეს აქტიურად მუშაობენ საერთაშორისო ორგანიზაციები. დიპლომატია ძირითადად შედგება ოთხი კომპონენტისაგან ესენია:

- დიპლომატიამ თავის მიზანს უნდა მიაღწიოს თავისივე ძალების გამოყენებით;
- დიპლომატიამ უნდა განსაზღვროს რამდენად თავდებადია ეს ძალები;
- დიპლომატიამ უნდა განსაზღვროს ასევე სხვა ქვეყნის ძალები;
- დიპლომატიამ ამ მიზნების მისაღწევად უნდა გამოიყებოს შესესაბამისი საშუალებები.

თუ ამ 4 პუნქტიდან რომელიმე ერთს მაინც ვრ მიაღწევს სახელმწიფო, ეს საფრთხეს უქმნის როგორც საგარეო პოლიტიკის წარმატებას, ასევე მსოფლიო მშვიდობას.

სახელმწიფო, რომელიც თავის ძალებს ვერ განსაზღვრავს ომის რისკის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს. ასეთი სახელმწიფო სავარაუდოთ გაფლანგავს საკუთარ ძალებს და ომშიც ვერ იქნება საკმარისად ძლიერი. ასეთი პლიტიკის წარუმატებლობამ შეიძლება მას უკან დახევა და მიზნების გადახედვა აიძულოს ფაქტობრივად ძალაა გათვალისწინებით. თუმცა აქ ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი აზრი, რომელმაც შეიძლება აიძულოს სახელმწიფოს მიუღწეველი მიზნებისაკენ სწრაფვა და ეს უკვე გადადის ისეთ პრობლემაში, რომლის გადაწყვეტაა მშვიდობიანი გზით ვერ გადაწყდება.

გონივრული დიპლომატიის უმთავრესი ამოცანაა ის რომ, შეინარჩუნოს მშვიდობაა სახელმწიფოს მიზნების მისაღწევად. დიპლომატიის ხელთ 3 საშუალებაა დარწნუნება, კომპრომისი და ძალის გამოყენების მუქარა. დიპლომატია, რომელიც მხოლოდ ძალის გამოყენების მუქარას ეყდნობა ვერც გონივრულს ვუწოდებთ და ვერც მშვიდობიანს. დიპლომატია, რომელიც მთლიანად დარწმუნებასა და კომპრომისს ეყრდნობა, ასევე არ იმსახურებს, რომ გონივრული ეწოდოს. დიდი სახელმწიფოების მიერ გონივრული საგარეო პოლიტიკის წარმოებისას იშვიათი შემთხვევაა, როდესაც გამართლებულია მხოლოდ ერთი საშუალების გამოყენება და სხვების გამორიცხვა, იმისთვის, რომ დიდი სახელმწიფოს დიპლომატიურმა წარმომადგენელმა საკუთარი ქვეყნისა და მშვიდობის ინტერესების დასახვა შეძლოს. მან უნდა მიმართოს დარწმუნების პოლიტიკას, ყურადღება უნდა გაამახვილოს კომპრომისის უპირატესობაზე და მეორე მხარეს დაანახოს საკუთარი ქვეყნის სამხედრო ძლიერება, თანაც ეს ყველაფერი უნდა გაკეთოს ერთდროულად.

ქვეყანამ შეიძლება მიაღწიოს დიპლომატიის აღორძინებას იმ შემთხვევაში, თუ ამისთვის შეარჩევს სათანადო მიზნებსა და მეთოდებს. თანამედროვე საგარეო პოლიტიკის საშიშროების ძირითადი მიზეზი მის თვისებებში მდგომარეობს, რომელიც გულისხმობს თანამედროვე ტექნოლოგიების გავლენის შეუქცევადობას. ერთ-ერთი

ცვლადი არის ნაციონალური უნივერსალიზმის ახალი, მორალური ძალა. აღორძინებული დიპლომატიის მშვიდობის შენარჩუნების ერთადერთი საშუალება არის იმ შემთხვევაში, თუ იგი იქნება გამოყენებული, როგორც ამ პოლიტიკური რელიგიის ინსტრუმენტი, რომელიც საყოველთაო პირველობისაკენ ისწრაფვის. დიპლომატიას გააჩნია 4 ფუნდამენტალური წესი, რომლის ცოდნა ჩვენთვისაც სავალდებულოა, ესენია:

1. დიპლომატია უნდა გათავისუფლდეს ჯვაროსნული სულისკვეთებისაგან.

ეს არის პირველი წესი, რომლის უგულველყოფა დიპლომატს შეუძლია მხოლოდ ომის რისკის ფასად, უილიამ გრემ სამნერი წერდა: ,,თუ გსურს ომი განავითარე დოქტრინა". დოქტრინები არის ყველაზე საშიში ტირანები რომლებსაც ექვემდებარებიან ადამიანები, რადგან დოქტრინები აღწევენ ადამიანის გონებაში და აიძულებენ, რომ საკუთარ თავს ავნონ. ცივილიზებული ადამიანები ყველაზე სასტიკ ბრძოლებს დოქტრინების გულისთვის მართავდნენ. ,,ძალთა ბალანსი", ,,ის ვინც აკონტროლებს ხმელეთს. აკონტროლებს ზღვას," ,,სამეფო ტახტი და საკურთხეველი" აი ამ ყველაფრისათვის ადამიანებმა სიცოცხლე გაიღეს და სწორედ ამიტომ რომ დოქტრინას ახსენებენ ის ემსგავსება ხელ კეტს, რომლის შენსკენ მოქნევაც შეუძლია ნებისმიერ დროს და ნებისმიერ მომენტში. დიპლომატიას, რომ მიეცეს განვითარების საშუალება, ამისათვის საჭიროა ამა თუ იმ პრობლემის მოგვარება შეთანხმებით კონსესუსის მიღწევით და არა ომითა და ძალადობით - ეს მაშინ მოხდება, როცა უარს ვიტყვით ნაციონალური უნივერსალიზმისათვის დამახასიათებელ ჯვაროსნული სულისკვეთებით გამსჭვალულ მიზნებზე.

2. საგარეო პოლიტიის მიზნები უნდა განისაზღვრებოდეს ეროვნული ინტერესების საფუძველზე და მას ზურგს სათნადო ძალა უნდა უმაგრებდეს.

-ეს არის მეორე წესი, რომელიც მშვიდობის სენარჩუნებისკენაა მიმართული. მსვიდობის მოყვარე სახელმწიფოს ეროვნული ინტერესი შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ ეროვნული ინტერესების საფუძველზე, ხოლო ეროვნული უსაფრთხოება,

თავის მხრივ უნდა განისაზღვროს როგორც სახელმწიფოს ტერიტორიისა და მისი ინსტიტუტების მთლიანობა. აქედან გამომდინარე ეროვნული უსაფრთხოება ის მინიმუმია რომელიც დიპლომატიამ უნდა დაიცვას შესაბამისი ძალით და უკომპრომისოდ. ბირთვული ეპოქის გავლენით სახელმწიფომ შეძლო რომ დიპლომატიის საშუალებით სხვა სახელმწიფოების ხარჯზე საკუთარი უსაფრთხოება მოეპოვებინა. დიპლომატის ერთ-ერთი მთავარი მიზანია ყველა სხვა სახელმწიფოს უსაფრთხოებაზე ზრუნვა.

3. დიპლომატია პოლიტიკურ სცენას სხვა სახელმწიფოების თვალით უნდა შეხედოს.

სახელმწიფოსთვის დამღუპველია საკუთარი მნიშვნელობის და შესაძლებლობების გაზვიადება და ასევე ძლიერი სურვილი, რომ გაითვალისწინოს სხვების აზრი. სახელმწიფოებს შეუძლიათ დათმონ ის შორეული პოზიციები, რომლებიც მეორე მხარია ეროვნული უსაფრთხოების სფეროსთან ახლოსაა და პირველი სახელმწიფო უბრუნდება თავის საწყისს პოზიციას.

4. სახელმწიფოები მზად უნდა იყვნენ კომპორისისათვის ყველა იმ საკითხთა დაკავშირებით, რომლებიც მათვის სასიცოცხლოთ მნიშვნელოვანი არ არის.

ყველა მთავრობას, ყველა ადამიანურ სარგებელსა და სიამოვნებას, ყველა სიკეთესა და ყველა ქმედებას საფუძვლად უდევს კომპრომისი და გაცვლა-გამოცვლა. ჩვენ უარი უნდა ვთქვათ ზოგიერთ ბუნებრივ თავისუფლებაზე იმ სარგებელის სანაცვლოდ, რომელსაც დიდ იმპერიაში არსებული ერთიანობა და ძმობა გვაძლევს.

„დიპლომატია აქ მის ყველაზე რთულ ამოცანას აწყდება მათთვის ვისი გონებაც პოლიტიკური რელიგიის ხვაროსნული ენთუზიაზმით დაბინდული არ არის და ცხოვრებას რეალური თვალით უყურებს, მისთვის რთული არ არის დაინახოს ორივე მხარის ეროვნული ინტერესები და გააკეთოს ობიექტური დასკვნა, თუ გათვალისწინებული იქნება და ობიექტურად შეფასდება ორივე მხარის ეროვნული ინტერესი, მასინ ადვილად მოხდება შეთანხმების მიღწევა და დიპლომატიაც შეასრულებს თავის საქმეს. სამართლიანად აღსანიშნავია, რომ კომპრომისის

წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული დიპლომატიის მომავალზე, კომპრომისი ნებისმიერ საკითხზე, რაგინდ უმნიშვნელო იყოს ის შეუძლებელი იქნება მანამ სანამ არ იქნება ორი მხარის ეროვნული ინტერესები დაცული. იმისათვის რომ სახელმწიფო წარმატებული იყოს და კომპრომისს მიენიჭოს განსაკუთრებული ადგილი აუცილებელია კიდევ 5 წინაპირობის დაცვა.“[3]

1. კანონისა და პროპაგანდის კონტექსში წარმოებული დიპლომატიისათვის განსაკუთრებით ძლიერია ცდუნება რომ დაჟინებით მოითხოვოს კანონის ზუსტი შესრულება და უყურადღებოთ დარჩეს ის შედეგები, რომელიც ამ დაჟინებამ შეიძლება გამოიწვიოს.

2. არასდროს დაიკავო ისეთი პოზიცია, სადაც უკან ვერ დაიხევ საკუთარი რეპუტაციის შეულახავად, ხოლო წინ მხოლოდ სერიოზული რისკის ფასად ნუ წაიწევ.

დიპლომატია, რომელიც სამართლებრივი უფლების აჩრდილისა და პოლიტიკური უპირატესობის რეალობას ერთმანეთისაგან ვერ არჩევს, ისეთ პოზიციაზე აღმოჩნდება, სადაც ყოფნის უფლება კი აქვს, მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით არაფერი არ ესაქმება იქ ამ შემთხვევაში, კომპრომისი ხდება ძალზედ რთული მისაღწევი. ამ სემთხვევაში სახელმწიფოს არ შეუძლია ამ პოზიციის მიტოვება საკუთარი პრესტიჟისათვის სერიოზული ზიანის მიყენების გარეშე, მას სევე არ შეუძლია ამ პოზიციიდან წინსვლა პოლიტიკური რისკის გარეშე, აქედან გამომდინარე, არ უნდა დაიკავო ისეთი პოზიცია სადაც წინ მხოლოდ ომის ფასად წაიწევ და უკან ვერანაირა ვერ დაიხევ საკუთარი რეპუტაციის შეულახავად.

3. არასდროს მისცე სუსტ მოკავშირეს საშუალება, რომ შენს მაგივრად მიიღოს გადაწყვეტილებები.

ძლიერი სახელმწიფოები, რომლებიც წინა ორ წესს ყურადღებას არ აქცევენ, ამ წესს განსაკუთრებით ხშირად არღვევენ. ძლიერი სახელმწიფო, რომ საკუთარ ეროვნულ ინტერესებს სუსტი მოკავსირის ეროვნულ ინტერესებთან გააიგივებს

დაკარგავს მოქმედების თავისუფლებას. ძლიერრი მეგობრის მხარდაჭერაში დარწმუნებული სუსტი მოკავშირე საკუთარი საგარეო პოლიტიკისათვის ისეთ მიზნებსა და ხერხებს შეარჩევს, რომლების მას აძლევს ხელს, შედეგად ძლიერ სახელმწიფოს უწევს სხვისი ინტერესების დაცვა და ვერ წავა ისეთ კომპრომისზე რომლებიც სასიცოცხლოდ მნისვნელოვანია მხოლოდ მისთვის.

ამ წესის დარღვევის კლასიკური მაგალითია ის ზეწოლა, რომელიც თურქეთმა მოახდინა დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთსე 1853 წლის ყირიმის ომის წინ.

ევროპის სახელმწიფოთა ალიანსი პრაქტიკულად თანახმა იყო რუსეთსა და თურქეთს შორის კომფლიქტის კომპრომისულ მოგვარებაზე, მაგრამ თურქეტმა იცოდა, რა რომ დასავლური ძლიერება რუსეთთან ომში მას მხარს დაუჭერდნენ, ყველაფერი გააკეთა ამ ომის პროვოცირებისათვის და დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი მათი სურვილის წინააღმდეგ ჩაითრია ომში. თურქეთმა ფაქტიურად მათ მაგივრად გადაწყვიტა ომისა და მშვიდობის საკითხი.

4. შეურაღებული ძალები საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტია და არა მისი მბრძანებელი.

ამ წესის დაცვის გარეშე საგარეო პოლიტიკა ვერც წარმატებული იქნება და ვერც მშვიდობიანი. ვერც ერთი სახელმწიფო ვერ გაატარებს კომპრომისის პოლიტიკას თუ სამხედრო ძალები განსაზღვრავენ საგარეო პოლიტიკის მიზნებსა და ხერხებს. შეირაღებული ძალები ომის ინსტრუმენტია, ხოლო საგარეო პოლიტიკა კი მშვიდობის სამართალია ამ ბრძოლაში.

ომის ამოცანა მარტივია და ის მდგომარეობს მტრის ნების გატეხვაში, მტერს მიაყენო მაქსიმალურად ძლიერი დარტყმა, მის ყველაზე სუსტ წერტილში, ხოლო საგარეო პოლიტიკის ამოცანა ფარდობითი და პირობითიაა შეასუსტო, მაგრამ არ გატეხო მეორე მხარის ნება, შეასუსტო იმდენად, რამდენადაც საჭიროა შენი საციცოცხლო ინტერესებისათვის.

აქედან გამომდინარე, საგარეო საქმეების სამხედროებისათვის ჩაბარება ნიშნავს კომპრომისის შესაძლებლობის მოპოვებას და აქედან გამომდინარე მშვიდობისაკენ

სწრაფვაზე უარის თქმას. სამხედრო გონების მიზანია ძალის გამოყენებით საკუთარი მიზნების მიღწევა, ხოლო დიპლომატიის მთავარი მიზანი გამარჯვებისა და დამარცხების აბსოლიტური კატეგორიისათვის გვერდის ავლა და მეორე, მხარესთან მოლაპარაკების გზით მიღწეული კომპრომისის შედეგად ნეიტრალურ ტერიტორიაზე შეხვედრა.

5. მთავრობა არის საზოგადოებრივი აზრის წინამძღოლი და არა მისი მონა.

ისინი, ვინც, პასუხისმგებელია საგარეო პოლიტიკის წარმოებაზე დიპლომატიის ზემო აღმნიშნული პრინციპების თანახმად, ვერ იმოქმედებენ თუ დაცული არ იქნება და მუდმივად არ ემახსოვრებათ ეს მეხუთე თავის პრინციპი. საგარეო პოლიტიკისათვის აუცილებელია საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერა და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინება.

ეს იყო კომპრომისის მეხუთე წესი, რომლის შესრულება და დაცვა სავალდებულოა სახელმწიფოთათვის, რათ მან მოახდინოს სამართლიანად ფუნქციონირება და ასეთ სახელმწიფოში დიპლომატიასაც ექნება მეტი გასაქანი და შესაძლებლობა, რათა კარგად განახორციელოს თავისი საქმიანობა.

საზოგადოებაში ჩნდება კითხვა: ნუთუ დიპლომატია არასდროს ყოფილა წარუმატებელი ომის თავიდან აცილების საქმეში? ამ სამართლიან შეკითხვაზე ორი პასუხი არსებობს - მშვიდობის შენარჩუნების საქმეში დიპლომატიას არუმატებლობა ბევრჯერ განუცდია და ხშირად წარმატებულიც ყოფილა. ხშირად მისი წარუმატებლობა გამოწვეული იყო იმით, რომ მისი წარმატება არავის სურდა როცა ომი მეფეთა ჩვეულებრივ საქმიანობას წარმოადგენდა, დიპლომატიის ამოცანა მდგომარეობდა არა მის თვიდან აცილებაში, არამედ მის გამოწვევაში ყველაზე ხელსაყრელ დროს.

მეორე მხრივ, როდესაც სახელმწიფოები დიპლომატიას ომის თავიდან ასაცილებლად იყენებდნენ, ისინი ხშირად აღწევდნენ. თანამედროვე ისტორიაში წარმატებული დიპლომატიის საშუალებით ომის თავიდან აცილების შესანიშნავი მაგალითია 1878 წლის ბერლინის კონგრესი. დილომატიის მშვიდობიანი მეთოდებით

მოგვარდა ის საკითხები, რომლებიც ნაპოლეონის ომების დროიდან მოყოლებული დიდ ბრიტანეთსა და რუსეთს შორის დაძაბულობის ძალა იყო.

ამრიგად, დიპლომატია მშვიდობის შენარჩუნების საუკეთესო საშუალებაა, რომელიც სუვერენულ სახელმწიფოთა საზოგადოებას გააჩნია, მაგრამ ის საკმარისი არ არის, განსაკუთრებით თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკისა და თანამედროვე ომის პირობებში. საერთაშორისო მშვიდობა დაცული მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება თუ სახელმწიფოები თანამედროვე ტექნოლოგიების წყალობით მათ ხელში აღმოჩენილ განადგურების იარაღს ზემდგომ ხელისუფლებას ჩააბარებენ, ანუ როდესაც სუვერენიტეტზე იტყვიან უარს. დიპლომატიას შეუშძლია მშვიდობს უფრო მტკიცე გახადოს, ვიდრე ის დღეს არის, ხოლო მსოფლიო სახელმწიფოს შეუძლია მშვიდობა უფრო მეტად განამტკიცოს ვიდრე სახელმწიფოების მიერ დიპლომატიის წესების დაცვა. თუმცა ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ მუდმივი მშვიდობა შეუძლებელია მსოფლიო სახელმწიფოს გარეშე, ხოლო მსოფლიო სახელმწიფო ვერ იარსებებს დიპლომატიური პროცესების გარეშე, რომლებიც მშვიდობის შენარჩუნებებას ემსახურება.

დიპლომატიის მომავალი თავიდან ბოლომდე დაფუძვნებულია სახელმწიფოსა და მასში შემავალ საზოგადოებაზე, რომელთათვისაც მშვიდობა ყველაზე ძვირფასია, ასევე დიპლომატიას ვხედავ მომავალში, როგორც დამოუკიდებელი, ძლიერი დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

დასკვნა

ამრიგად, განხილულია ნაშრომი „ქართული თანამედროვე დიპლომატია“ - შესაბამისად კი განხილულია ყველა ის საკითხი, რაც ქართული თანამედროვე დიპლომატიის სტრუქტურასა და მის ძირითად მიმართულებებს უკავშირდება. ნაშრომის განხილვიდან გამოიკვეთა, რომ ქართულმა დიპლომატიამ ძალიან დიდი გზა გამოიარა ვიდრე ამ ეტაპამდე მოვიდოდა, და ათწლეულების განმავლობაში ძალიან ბევრი დაბრკოლებები გადალახა.

და მაინც რა შეიძლება ითქვას ქართული დიპლომატიის შესახებ? ალბათ ის რომ,რომ არა დიპლმატია საქართველო, ესოდენ პატარა ქვეყანა, რომელიც გამუდმებით სხვისი ინტერესების ქვეშ იყო მოქცეული და დამპყრობლურ ომებს იტანდა, დიდი ხნის გამქრალი უნდა ყოფილიყო მსოფლიო პოლიტიკური რუკიდან - რაკი ასე არ მოხდა ესეიგი ეს სწორედ დიპლომატიის დამსახურებაა.

რაც შეეხება თანამედრივე ქართულ დიპლომატიას, მართებული იქნება თუკი ავღნიშნავთ, რომ ქართული დიპლომატია დღესაც დიდ გამოწვევების წინაშე დგას და

როგორც არ უნდა სურდეს ამ გამოწვევების დარეგულირება ქართული მხარის სასარგებლოდ რიგირც დიპლომატებს, ისე მთელ ერს, ჯერჯერობით ეს საკითხები მაინც გადაუჭრელია.

საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი არის დასავლური და და ეს არის ქართველი ხალხის არჩევანი, მაგრამ რუსეთის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი შეუსაბამობაში მოდის საქართველოს ინტერესებთან, რისი შედეგიცაა სწორედ ის რომ საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი ოკუპირებულია, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ამ კუთხით მუშაობა არ მიმდინარეობდეს თუნდაც საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერა და ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატი.

ბოლო 30 წლის მანძილზე საქართველოს რეალობაში ბევრი რამ შეიცვალა, თუნდაც იგივე საერთაშორისო ურთიერთობებთან დაკავშირებით, ინტეგრაციის საკითხებთან მიმართებაში და უამრავი სხვა რამ, რაზედაც ნაშრომის მესამე თავშია ყურადრება გამახვილებული, თუცა სურვილი რომ საქარველო იყოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა არ შეცვლილა და არც შეიცვლება. მიუხედავად ყველა იმ პრობლემის სირთულისა, რაც დღეს რეალურად დგას ქართული დიპლომატიის წინაშე, შეიძლება ცალსახად აღინიშნოს, რომ არა ქართული დიპლომატიის დიდ მცდელობა და მონდომება, დღეს საქართველო ვერ იქნებოდა იმ სიმაღლეზე, რა პოლიტიკური მოცემულობაც გვაქვს საერთაშორისო ურთიერთთობებთან მიმართებაში, რაც რათქმაუნდა დასაფასებელია.

სწორი დიპლომატიის განხორციელება თუ რა გზებით არის შესაძლებელი და როგორ უნდა ხდებოდეს ეს უკვე განვიხილეთ, ამიტომაც ამ საკითხზე ხელახლა არ გავამახვილებთ ყურადრებას, თუმცა ისიც უნდა აღინიშნო, რომ ეს მხოლოს ერთი სახელმწოფოს ნება კი არა, ყველ სახელმწიფოს ნება უნდა იყოს. სწორედ ამის დამსახურებაა ის, რა რეალური მდგომარეობაც თანამედროვე ეტაპზე გააჩნია საქართველოს, მიუხედავად არაერთი მცდელობისა ჯერ კიდევ ვერ ხერხდება დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება - რაც მომავალში ისევ სწორი დიპლომატიის შედეგად უნდა დარეგულირდეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები.ტომი 1.თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.თბ.1988

2. ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები.ტომი 2.თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.თბ.1988

3. შოთა ჯაფარიზე -დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები.პირველი ნაწილი"ბათუმის უნივერსიტეტის გამომცმლობა"ბათუმი 2002

4. ჰამლეტ ჭიპაშვილი-დიპლომატია.გამომცემლობა "ინოვაცია პლიუსი" .თბ 2007.

ვებ-გვერდები

1. http://www.mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy/%E1%83
2. http://gtu.ge/bef/pdf/Doqtora,ntura/sajaro_mmartveloba/avtoreferati_k.sabiashvili.pdf
3. https://burusi.wordpress.com/2009/07/20/
4. https://kakhadvs.wordpress.com/2015/04/30
5. http://www.mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy/Mission.aspx
6. http://www.mfa.gov.ge/getattachment/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy/2019-2022-clebis-saqartvelos-sagareo-politikis-strategia.pdf.aspx
7. http://www.mfa.gov.ge/
8. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3529984?publication=0
9. http://www.mfa.gov.ge/MainNav/DiplomatService/Structure/Diplomatic-Protocol-Department.aspx
10. http://parliament.ge/uploads/other/72/72947.pdf
11. http://www.mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy/%E1%83
12. http://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy